


№8-9 (7068) 28 აპრილი,
ხუთშაბათი, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი



# ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!

## უმთავრესი მიზანი – გავამართლოთ ხალხის ნდობა და მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

3-6 გვ.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

19 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 645,6 ათასი ლარით და შეადგინა 10230,8 ათასი ლარი.

საკრებულოზე ასევე მოსმენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც საკრებულოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

საკრებულოს 2015 წელს გაწეული საქმიანობა ერთხმად შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დაიჯესტი

# ევროპარლამენტის კომიტეტმა საქართველოს მოქალაქეთა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას მხარი დაუჭირა



ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების კომიტეტმა ევროკომისიის საკანონმდებლო წინადადებას საქართველოსათვის უვიზო მიმოსვლის დაწესების თაობაზე მხარი დაუჭირა. თავდაპირველად დეპუტატებმა ევროკომისიის წარმომადგენლებს მოუსმინეს და მათ კანონმდებლებს გააცნეს ევროკომისიის ტექნიკური დასკვნა. ევროკომისია მხარს უჭერს იმ მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლას, ვისაც აქვთ ბიომეტრიული პასპორტები.

ამის შემდეგ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ევროპარლამენტარი მარია გაბრიელი, რომელიც დაეთანხმა ევროკომისიის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ საქართველომ განახორციელა რეფორმები წარმატებულად.

ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 539-ე რეგულაციის დანართში ის ცვლილება უნდა შევიდეს, რომლითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო 90 დღიანი მიმოსვლა დაწესდება.

საკითხი მაისის ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილება, ხოლო შემდეგ გადაეცემა ევროკავშირის მინისტრების საბჭოს. ორივე ორგანოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რეგულაციის ცვლილებების შემცველი ტექსტი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს შევა ძალაში. საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედება 2016 წლის 15 ივლისიდან არის მოსალოდნელი.

# პრემიერი განათლების რეფორმის პროცესში სტუდენტების ჩართულობას მიესალმება



პრემიერი განათლების რეფორმის პროცესში სტუდენტების ჩართულობას მიესალმება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განათლების რეფორმის პროცესში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას მიესალმება,–ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ მიზანს ემსახურება პრემიერის დღევანდელი შეხვედრა “აუდიტორია 115”-ის წევრებთან და დიალოგი სტუდენტთა ჯგუფებთან, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. მთავრობა პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

”განათლების სისტემისა და მმართველობის რეფორმა, რომელიც უფრო მაღალ ჩართულობას გულისხმობს, მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. პროცესის მაღალი ლეგიტიმაციის უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობა მასში ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართვისთვის მზად არის. დიალოგისა და ჩართულობის შედეგად, მისაღები კანონმდებლობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება”, - ნათქვამია განცხადებაში.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებს განაგრძობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რასაც საჯარო განხილვები მოჰყვება. პრემიერ-მინისტრი მზადყოფნას გამოთქვამს, საჯარო განხილვების პროცესში პირადად ჩაერთოს.

# „ამ წარმატებას პარლამენტთან ერთად ვზეიმობთ“



იუსტიციის მინისტრი დღეს ბრიუსელში ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომის მონაწილეებს სამართლის სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ ესაუბრა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, თეა წულუკიანის მოხსენება „დემოკრატიული რეფორმების კონსოლიდაცია საქართველოში“ აერთიანებდა იმ რეფორმებს, რომლებიც ქვეყანაში ბოლო სამი წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით გატარდა. მათ შორის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისთვის და სხვა.

„ჩვენმა ქვეყანამ საკანონმდებლო რეფორმების კუთხით ძალიან დიდი ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებებმა საშუალება მისცა ქართველ ხალხს, ევროკავშირისგან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის დეკემბერში დადებითი დასკვნა მიეღო. საქართველოს მთავრობა ამ წარმატებას პარლამენტთან ერთად ვზეიმობთ, რადგან პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე ევროპულ გზაზე წარმატება შეუძლებელი იქნებოდა. ქართველი ხალხი, მთავრობა, პარლამენტი, არასამთავრობო სექტორი ვართ ერთიანი იმაში, რომ საქართველოს არჩევანი ევროპულია და ინსტრუმენტები ამ არჩევანის რეალიზებისთვის სხვებს შორის ასოცირების შეთანხმებაა“, განაცხადა თეა წულუკიანმა.

კომიტეტის ორდღიანი სხდომა რეზოლუციით დასრულდება. რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ ასოცირების კომიტეტი მიესალმა საქართველოს ძალისხმევას უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება.

სამინისტროს ინფორმაციით, კომიტეტი სრულად აღიარებს საქართველოს მიერ მიღწეული რეფორმების წარმატებას და პროგრესს ყველა იმ სფეროში, რომელთაც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ოთხივე ბლოკი მოიცავს და მიესალმება სასამართლო სისტემის რეფორმირების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს.

„კომიტეტი მიესალმება სასამართლო სისტემის რეფორმისკენ მიმართულ მიმდინარე ძალისხმევას, განსაკუთრებით, პროკურატურის რეფორმის კუთხით“, ნათქვამია რეზოლუციის პროექტში. ასევე, კომიტეტი მიესალმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის მიღებას, ადამიანის უფლებათა ახალი სტრატეგიის განხორციელებას და დადებითად შეაფასა შრომის ახალი კოდექსის მიღება.

როგორც ასოცირების კომიტეტმა აღნიშნა, საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობებში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიკაცია არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს.

„ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, აქვს ევროპული პერსპექტივა და შეუძლია, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი“, ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.

ასევე, კომიტეტი მიესალმა 2016 წლის 9 მარტის წინადადებას, რომლის თანახმადაც, ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროპის საბჭოს საქართველოსთვის სავიზო მოთხოვნების მოხსნისკენ მოუწოდა.

თვალსაზრისი

# ჩვენი ხალხი ამას ვერ შეეგუება

მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში ბევრი რამ გაკეთდა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარების კუთხით. ევროკავშირის მიერ საქართველოს ხელისუფლებისგან მიცემული რეკომენდაციები თითქმის ყველა მუხლში წარმატებით იქნა შესრულებული, მაგრამ ეს ყველაფერს არ ნიშნავს.

საქართველოში მავანმა და მავანმა ისარგებლა იმით, რომ დემოკრატიის პირობებში ყველაფერიაო შესაძლებელი. ითხოვენ დაკანონდეს ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება. ამას იმით ხსნიან, რომ არ დაირღვეს უმცირესობის უფლებები.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მავანთა თანადგომით ჩვენი საზოგადოების უმცირესობამ მართლა მოაწყო გეი-აღლუმები, რაც მიუღებელია ყველა ქართველისთვის, ვინც ფიქრობს ჩვენი ქვეყნის მომავალზე და იცავს ქართველი ერის საუკეთესო ტრადიციებს.

საქართველო ტრადიციების ქვეყანაა და ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან ამაყობდნენ ამ ტრადიციებით. კოლხები, ანტიკური ხანის ქვეყნებზე არა ნაკლებად იცავდნენ ტრადიციისადმი პატივისცემას და თაობიდან თაობაზე გადაცემას. კოლხები თავისუფლების მოყვარული ხალხი იყო და ადვილად თავს არავის აჩაგვრინებდა.

ცნობილი ძველი ბერძენი სარდალი, ისტორიკოსი ქსენოფონტე სიამაყით ამბობდა,– როცა ნახევარი სამყარო აქემენიანთა ირანის უღელქვეშ გმინავდა, იმ პერიოდში კოლხები, როგორც თავისუფალი ხალხი. თავს ადვილად არავის აჩაგვრინებდა.

ქართველებისთვის უხსოვარი დროიდან მთავარი პრიორიტეტი იყო მტკიცე და ძლიერი ოჯახის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა, ქალისა და კაცის ურთიერთგაგებაზე და სიყვარულზე (ხაზს ვუსმევ ქალისა და კაცის). ოჯახი ქართველისთვის მაშინაც და დღესაც სწორედ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების სიმბოლოა.

ქართული ოჯახის სიმტკიცე კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს ქრისტიანობა და იწამეს ქრისტესადმი რწმენა, ამან უფრო გაამყარა ქართული ოჯახის სიმტკიცე, ქალისა და მამაკაცის სიყვარული.

მტკიცე ოჯახი მაშინაც და დღესაც ჩვენი სახელმწიფოს მტკიცე საძირკველია და დღეს იმაზე მსჯალობა, რომ დაკანონდეს თუ არა ერთსქესიანთა ქორწინება, ღმერთმა მაპატიოს და, მკრეხელობად მიმაჩნია.

მთელი ჩემი ცხოვრება ისე გამიტარებია, რომ სულ ახალგაზრდობასთან მიხდებოდა ურთიერთობა. ახალგაზრდებს პირველ რიგში ვასწავლიდით, ჩვენი ერის საუკეთესო ტრადიციებისადმი პატივისცემას და ისინიც ამ ტრადიციებზე იზრდებოდნენ.

საქართველოში, რაც დღეს ხდება, ამაზრზენია. ევროპის ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა: შვეცია, დანია, ნორვეგია და სხვა ევროპული ქვეყნები, ასეთი კანონი არარის მიღებული და საქართველო რა გახდა ისეთი, რომ უნდა მოვახდინოთ ამ უმსგავსობის ლეგალიზება და საზოგადოებაში დაკანონება.

საქართველოს პარლამენტის წევრებს და განსაკუთრებით ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გოდერძი ბუკიას და გიგა ბუკიას ვთხოვ, რომ ამ საქმეს მიუდგნენ დიდი პასუხისმგებლობით. პარლამენტში ამ საკითხებზე, კერძოდ, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ მსჯელობისას, კონსტიტუციაში ერთ-ერთ მუხლად უნდა ჩაიწეროს ოჯახი, ეს არის ქალისა და მამაკაცის ერთად თანაცხოვრება. კენჭისყრის დროს ყველანი უნდა დადგნენ ერთად და გადაწყდეს ეს საკითხი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ შეძელით მაშინ დავეკითხოთ ხალხს და ჩატარდეს რეფერენდუმი და რასაც ხალხი გადაწყვეტს, ისე ვიმოქმედოთ.

ღმერთი ფარავდეს ჩვენს ხალხს და სრულიად საქართველოს.

***გიგლა კვიკვინია,***
***სასწავლო უნივერსიტეტ „გაენათის“ ლექტორი.***

# უმთავრესი მიზანი—გავამართლოთ ხალხის ნდობა და მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ



***მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო,***

***მივესალმები მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დამსწრე საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს.***

მაქვს პატივი თქვენ წინაშე წარვსდგე საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით.

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევნებზე საქართველოს მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს ქვეყნის აღმშენებლობის კურსს და ჩვენც 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებზე ამ განწყობით დაგვიჭირა მხარი ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ და უფლება არ გვაქვს არ ვიფიქროთ მათ კეთილდღეობაზე და პრობლემების მოგვარებაზე.

2015 წელს საკრებულოს საქმიანობა ამ უმთავრესი პრინციპით იყო საფუძველდებული და თითოეული ჩვენგანი, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ვიღვწოდით მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის.

2014 წლის 15 ივნისს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს—საკრებულოს არჩევნები, რომელიც ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ყველაზე დემოკრატიული არჩევნები იყო, რაც საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოების პოლიტიკურ სიმწიფეზე და არჩევნების ჩატარების პოლიტიკურ კულტურაზე მიგვანიშნებს.

მოგეხსენებათ, საკრებულო უპირველესად არის პოლიტიკური ორგანო, რომლის მუშაობის ძირითადი პრინციპია საკითხის კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა. როგორც პოლიტიკური ორგანო, ის მუნიციპალიტეტში გამოხატავს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას და თავისი არსით და უმთავრესი ფუნქციით არის ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი.

საკრებულოში არჩეული საკრებულოს წევრების შემადგენლობა მრავალპარტიულია.

კანონმდებლობის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაკომპლექტებულია 36 წევრით, აქედან: 15 წევრი არჩეულია პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, მათ შორის 9 მანდატი მიიღო „ქართული ოცნება–დემოკრატიულმა საქართველომ“, 4 მანდატი–„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, 1–„ნინო ბურჯანაძე-ერთიანმა ოპოზიციამ“ და 1 მანდატი–„არასაპარლამენტო ოპოზიციამ (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“, ხოლო 21 საკრებულოს წევრი აირჩა - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, მათ შორის: კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ – 16 წევრი, საინიციატივო ჯგუფის წარდგენით–4 და 1- „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“ ბლოკიდან.

პოლიტიკური წარმომადგენლობის შესაბამისად, მესამე მოწვევის საკრებულოში ჩამოყალიბდა 6 ფრაქცია–„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“; „ქართული ოცნება“; „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „თავისუფლება“ და „ხობი“. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკრებულოს ფრაქციების განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, რეგისტრირებულ ფრაქციათა უმეტესობა საკრებულოს ორგანოებთან კონსტრუქციულად მუშაობს, ისინი აქტიურად არიან ჩართული, როგორც საკრებულოს, ასევე საკრებულოს კომისიების მუშაობაში. რაც შეეხება ოპოზიციურ ფრაქციებს, ჩვენ მივესალმებით ჯანსაღ ოპოზიციას, რომელიც დაგვეხმარება ოპტიმალური გადაწვეტილებების მიღების საქმეში.

საკრებულოში, ფუნქციონირებს 5 კომისია: სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, საფინანსო-სარევიზიო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია. საკრებულოს ყველა წევრი გაწევრიანებულია ერთ, ან ორ კომისიაში.



**სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია** ამზადებს დასკვნებს და შესაბამის პროექტებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი შეწყვეტის თაობაზე; ახორციელებს კონტროლს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე; განიხილავს მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების პროცესთან დაკავშირებით შემოსულ შენიშვნებს და წინადადებებს; შეისწავლის ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო მასალებს და საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგენს შესაბამის დასკვნას; შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ; კომისიის შემადგენლობაში 7 საკრებულოს წევრია გაერთიანებული.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია** ამზადებს საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებს და ახორციელებს ინიცირების წესით წარმოდგენილი პროექტების წინასწარ იურიდიულ ექსპერტიზას; შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს; ეწევა იურიდიულ კონსულტაციებს დაინტერესებულ პირთათვის და ახორციელებს კონტროლს ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. კომისიის შემადგენლობაში 6 საკრებულოს წევრია გაერთიანებული.

**საფინანსო-სარევიზიო კომისია** წინასწარ განიხილავს ბიუჯეტის, ადგილობრივი გადასახადების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და მათში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტებს; შეიმუშავებს დასკვნებსა და წინადადებებს; ყოველთვიურად განიხილავს თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს მომზადებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით წარმოდგენილ ანგარიშს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს. კომისიის შემადგენლობაში 11 საკრებულოს წევრია გაერთიანებული.

**სოციალურ საკითხთა კომისია** განიხილავს განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტებს; სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფორმით შექმნისა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტებს; ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიურ მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტებს; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების საკითხებს. კომისიის შემადგენლობაში 11 საკრებულოს წევრია გაერთიანებული.

**ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია** განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (ისტორიულ-კულტურულ, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონების) დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ; განიხილავს თვითმმართველი ერთეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს; განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტუ-

»»»»»»»» 4

# უმთავრესი მიზანი—გავამართლოთ ხალხის ნდობა და მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

3

რის განვითარების პროგრამათა პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს; განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაცის შესახებ; განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ; განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენის შესახებ; განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის პროექტის დამტკიცების შესახებ.

გარდა დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების გეგმიური და თანმიმდევრული მუშაობის ორგანიზების მიზნით, თითოეული კომისიის მიერ დგება კვარტალური და წლიური სამუშაო გეგმები, რაც შემდგომში საფუძვლად ედება საკრებულოს სამუშაო გეგმას. საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებისთვის და ინიცირების წესით შემოსული პროექტების შესწავლისა და სათანადო დასკვნების მოსამზადებლად აქტიურ საქმიანობას ეწევიან საკრებულოს ზემოთ ჩამოთვლილი კომისიები. თითოეული გადაწყვეტილების მიღებამდე ხდება ყოველი პროექტის თუ წინადადების დეტალური შესწავლა, დამუშავება და დასკვნების მომზადება განსახილველი საკითხის მიზანშეწონილობის თაობაზე.

გარდა ჩამოთვლილი კომისიებისა, **საკრებულოში ფუნქციონირებს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია,** რომელიც შექმნის დღიდან ეწევა მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ფუნქციებს. კომისიის მიერ დადგენილია ყოველკვირეული სხდომები შემოსულ განცხადებათა განსახილველად.



2015 წელს კომისიის სახელზე შემოვიდა 61 განცხადება, აქედან განხილულიქნა 52. დაკმაყოფილდა 52-ვე განცხადება და შესაბამისად გაცემულ იქნა საკუთრების უფლების აღიარების 52 მოწმობა, ხოლო 9 განცხადება უკან იქნა გამოთხოვილი განმცხადებლების მიერ განხილვის გარეშე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში, 2015 წელს კომისიის გადაწყვეტილებით შემოსულია 10.896 ლარი.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობა რეგულირდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 525 ბრძანებულებით.

საკრებულოს წევრთა მიერ კომისიებზე და ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე წარედგინება საკრებულოს ბიუროს სხდომას, რომელიც საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მისი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესახებ.



ამდენად, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების მიერ შესწავლილი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკრებულოს სხდომას. საანგარიშო პერიოდისთვის ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 16 სხდომა და საკრებულოს–15 სხდომა, მათ შორის–3 რიგგარეშე საკრებულოს სხდომა.

საკრებულოს სხდომა საჯაროა. ყოველი სხდომის დანიშვნისას საკრებულოს აპარატის მიერ კეთდება შესაბამისი განცხადება სხდომის ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ. სხდომებს, გარდა მოწვეული პირებისა, ხშირად ესწრებიან საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები. სხდომებისა და საკრებულოს მუშაობის გამჭვირვალობისთვის საკრებულოს ყველა სხდომა ფიქსირდება აუდეო-ვიდეო საშუალებებით, სხდომების შესახებ ინფორმაციები ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, საკრებულოს ოფიციალურ სოციალურ გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

საკრებულოს კომისიების მიერ 2015 წლის განმავლობაში შესწავლილი და განხილული საკითხებიდან საკრებულოს ბიუროს წარედგინა 118 საკითხი, რომელთაგან 109 განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში იქნა შეტანილი, რის შემდგომაც მიღებულია 34 ნორმატიული აქტი–დადგენილება, 68 ინდივიდუალური აქტი–განკარგულება, მოსმენილ და შეფასებულ იქნა გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, პერიოდულად განიხილებოდა ინფორმაციები ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

განსხვავებული შინაარსის, მოსამზადებლად განსაკუთრებული მუშაობისა და შრომატევადობის, მარეგულირებელი ნორმების, წესებისა და პროცედურების განსაზღვრის მხრივ, საკრებულოს 2015 წელს მიღებული ნორმატიული აქტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი დადგენილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მასმედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ;

ე) ქალაქ ხობის ტერიტორიაზე ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით დაბინძურების რეგულირების შესახებ;

ვ) ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ;

საკრებულოს განკარგულებებიდან შეიძლება გამოიყოს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირების რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

ბ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესის დამტკიცების შესახებ.

საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ხელმისაწ-

5

# უმთავრესი მიზანი—გავამართლოთ ხალხის ნდობა და მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

4 ‹‹‹‹‹‹‹‹‹‹‹‹‹‹‹



ვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ყველა ნორმატიული აქტი მიღებიდან მეორე დღეს გამოსაქვეყნებლად იგზავნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და ასევე ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში, ხოლო საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2006 წლიდან დღემდე მიღებული როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტები.

საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და განხილვას, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს. 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიღებამდე, ის განსახილველად გამოქვეყნდა, როგორც ადგილობრივ პრესაში, ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. პროექტი განხილულ იქნა მოსახლეობასთანაც, რის შემდეგაც საკრებულოს მხრიდან განხილულ და მხარდაჭერილ იქნა 2016 წლის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი.

რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე პერიოდულ ინფორმაციას, საკრებულოს სხდომებზე აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ იქნა ბიუჯეტის შესრულების 2014 წლის შედეგები და 2015 წლის კვარტალური შესრულების ანგარიშები.

საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და მთლიანად საკრებულოს, უფლებამოსილების სრულყოფილად წარმართვისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით ემსახურება საკრებულოს აპარატი, რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ენერგიული და კომპეტენტური კადრებით. აპარატის მოსამსახურეები აქტიურად არიან ჩართულნი საკრებულოს მუშაობაში. საკრებულოს და საკრებულოს აპარატის დებულებაში ვრცლად არის გაწერილი საკრებულოს აპარატის ფუნქციები და უფლებამოსილებები და საკრებულოს აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოაჩენს მთლიანად საკრებულოს მუშაობას. აპარატში შექმნილია 2 განყოფილება–იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, რომელთა მეშვეობით აპარატში დიფერენცირებულად ხორციელდება ყველა სახის სამუშაო.

2015 წლის 5 ნოემბრიდან საკრებულო გადავიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე, პროექტი განხორციელდა სსიპ–სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და კოორდინაციით, ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასასვლელად ხობის მუნიციპალიტეტი 2013 წლიდან ემზადება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელდა პირველი სართულის სრული რეკონსტრუქცია და მოქალაქეთა მისაღებისა და საკრებულოს და გამგეობის არქივების და დამხმარე ოთახების მოწყობა. შენობაში მოეწყო თანამედროვე ქსელური ინფრასტრუქტურა–ციფრული საკომუნიკაციო და უსაფრთხოების სისტემა, საკრებულო და გამგეობის სამსახურები სრულად აღიჭურვა სათანადო კომპიუტერული ტექნიკით, მათ შორის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხრიდან მუნიციპალიტეტს 15 ერთეული კომპიუტერი გადმოეცა. პროგრამის დანერგვის შემდეგ მოქალაქეები ოპერატიულად, მარტივად და ეფექტურად იღებენ სათანადო მომსახურებას მოქალაქეთა მისაღებში კანცელარიის ოპერატორებისგან.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში 2015 წელს საკრებულოს აპარატის მიერ აღრიცხულია საკრებულოს თანამდებობის პირების სახელზე შემოსული 727 კორესპონდენცია. აქედან: უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებიდან–34; სამხარეო ადმინისტრაციებიდან–10; გამგეობიდან–144; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებიდან–43; სხვადასხვა ორგანიზაციებიდან–39; მოქალაქეთა განცხადებები –401; მოხსენებითი ბარათი 56.

აღრიცხულია 493 გაგზავნილი კორეპონდენცია. აქედან: უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში–40; სამხარეო ადმინისტრაციებში–10; გამგეობაში–306; სხვადასხვა ორგანიზაციებში–50; განცხადებებსა და ინფორმაციის მოთხოვნაზე გაცემულია–39 პასუხი; იურიდიულ პირებში–34; გაცემული ცნობების რაოდენობამ შეადგინა 14 ერთეული.





შესაბამისად, საკრებულოს აპარატში შემოსული კორესპონდენციის დიდი ნაწილი განცხადებების წილად მოდის, რომელთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განცხადებებს დასაქმებისა და მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე დახმარების შესახებ. ჩვენი და პირადად ჩემი მიზანია ხელი შეუწყოთ მოქალაქეებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს დასაქმებაში, ამისათვის აპარატში შექმნილია დასაქმების მსურველთა მონაცემთა ბაზა, სადაც მათი განათლებასა, თუ პროფესიულ გამოცდილებაზე ყველა სახის ინფორმაციაა შეტანილი, ეს კი ხელს გვიწყობს კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებაში ვაკანსიის გაჩენისთანავე შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ მათ დასაქმებაში. ჩვენი გუნდის დახმარებით, არაერთი ადამიანი დასაქმდა და ეს მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. ასევე ხშირია მომართვები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, დოკუმენტთა ასლების და ამონაწერების გაცემის შესახებ. ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტის ასლი გაიცემა დაუყოვნებლივ. ხოლო საკითხები, რომელიც საკრებულოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება–იგზავნება შესაბამის ორგანოებში რეაგირებისთვის. შედარებით პრობლემატურია მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

აპარატის მიერ 2015 წელს დამუშავდა და საუწყებო არქივისთვის მომზადდა 2012-2013 წლების კორესპონდენცია და საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის მასალები.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოიცა–137 ბრძანება, ხოლო დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლის შემდეგ პირადი შემადგენლობისადმი–20, საერთო ორგანიზაციულ საკითხებზე–8 ბრძანება.

მოქალაქეთათვის მომსახურების

›››››››››››››››› 6

# უმთავრესი მიზანი—გავამართლოთ ხალხის ნდობა და მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

5



მიწოდების ახლებური მეთოდები და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა თავისთავად მოითხოვს თანამშრომელთა მაღალ კვალიფიკაციას. 2015 წელს საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსში ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შეირჩა მაღალი კვალიფიკაციიის კადრები, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საკრებულოს აპარატის იმ თანამშრომელთათვის, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ატესტაციას, ჩატარდა ატესტაცია, სადაც საკრებულოს აპარატის თითოეულმა თანამშრომელმა მაღალი მაჩვენებლით ჩააბარეს გამოცდები, რომელიც საქართველოს იუსტიციის საბჭოს სასწავლო ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობა საზოგადოების წარმომადგენელთა მიღებას, მათი პრობლემების შესწავლას და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო კონსულტაციების გაწევას. მსგავს საკითხებზე შეზღუდვები არ არის დაწესებული და, ფაქტობრივად, ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარესთან აღრიცხული მოქალაქეთა ვიზიტების რაოდენობა 1549-ს შეადგენს.

საორგანიზაციო და სამართლებრივი კონსულტაციების მიღების მიზნით საკრებულოს მჭიდრო კავშირურთიერთობები აქვს ზემდგომ და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან.

საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, როგორებიცაა: ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი, ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო, დემოკრატიის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ასოციაცია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა შორის გენდერულ ბალანსს. საკრებულოს 36 წევრიდან 4 ქალია, აქედან 1 საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა, ხოლო საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 9 ქალი და 6 მამაკაცი.

საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და გამგეობის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულებისა. წარმოდგენილ ანგარიშში არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გამგეობის მიერ იყო ინიცირებული. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა გამგეობის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების დასრულების შემდეგ, გამგებელს მიენიჭა უფლებამოსილება საკრებულოს თანხმობის საფუძველზე უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების დაფუძნება. როგორც მოგეხსენებათ თვითმმართველობის იურიდიული პირები ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაფუძნებული იყო საკრებულოს მიერ. ამ ეტაპზე განხორციელდა რამოდენიმე იურიდიული პირის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, მიგვაჩნია, რომ მათი საქმიანობის დახვეწისა და უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით აუცილებელია გაგრძელდეს ეს პროცესი და განხორციელდეს საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია, რათა თითოეული მათგანი პასუხობდეს თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მესამე მოწვევის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება და დააწესა ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდო და განსაზღვრა ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესი, რომლის თანახმადაც ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს გადაცემა ხდება წელიწადში ერთჯერ და გადაეცემა მხოლოდ ორ სხვადასხვა ფიზიკურ პირს, შესაბამისად პირველი ხარისხის ჯილდო და მეორე ხარისხის ჯილდო. ჯილდოს გადაცემის თარიღია წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღე, ყოველი წლის 12 აგვისტო. ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდო გადაეცემა პირს კულტურის, განათლების, სპორტის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერების სფეროში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისთვის, ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებული საზოგადო მოღვაწეობისთვის, ხოლო ხობის საპატიო მოქალაქეობა ენიჭება პირს ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისთვის. 2015 წელს ხობის საპატიო მოქალაქეობა ქართული ხალხური მუსიკისა და მეგრული სასიმღერო ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში მიენიჭა ქართველ მომღერალს თამარ გვერდწითელს.

წინამდებარე ანგარიშიდან აშკარად გამოიკვეთა, რომ 2015 წლის განმავლობაში საკრებულო მრავალმხრივ და მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სისტემატურად უწევდა ზედამხედველობას საკრებულოსადმი დაქვემდებარებული სტრუქტურების საქმიანობას; სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ინტერესების, მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლას; მოსახლეობის საჩივრებისა და წინადადებების გაანალიზებას; მოქალაქეთა მიღებას, მათი განცხადებების განხილვას; პრობლემური საკითხების დროულად გადაჭრას.

მე მოგახსენეთ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს იქნა გაწეული. არც თუ მცირედი სამუშაო გასწია საკრებულომ ამ საანგარიშო პერიოდში, თუმცა ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ დასაბუთებული შენიშვნები, მივიღოთ ობიექტური კრიტიკა, გავითვალისწინოთ საქმიანი წინადადებები. ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს, მივაღწიოთ ჩვენს უმთავრეს მიზანს—გავამართლოთ ხალხის ნდობა და ხობის მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული, ღრმად ვარ დარწმუნებული ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. ჩვენი ქვეყნის, მუნიციპალიტეტის მომავალი დღეს ჩვენ უნდა შევქმნათ და უფლება არ გვაქვს ხელიდან გავუშვათ ამის შესაძლებლობა, შეცდომებსა და წარუმატებლობას ვერავის ვერ გადავაბრალებთ და ვერ ვიმართლებთ თავს ვერც დღევანდელობასთან და ვერც მომავალთან, რადგან უნდა გვახსოვდეს დღეს აქ ვდგევართ და ვქმნით არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს, საკრებულოს აპარატს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მის მოადგილეებს, სამსახურის უფროსებს და გამგეობის თანამშრომლებს საკრებულოსთან თანამშრომლობისა და 2015 წელს გაწეული საქმიანობისათვის.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## რაგბის კავშირის ფედერაციის წარმომადგენლები ხობში



რაგბის კავშირის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე და ვიცე პრეზიდენტი გაიოზ მონიავა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, სამეგრელო-ზემოს სვანეთის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ედიშერ ჯობავას, გამგებლის პირველ მოადგილეს ვარაზ გაბედავას, საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ტარიელ ალექსანდრიას, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გოჩა სიჭინავას და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს ზაზა ბუკიას შეხვდნენ.

ფედერაციის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, რაგბის პოპულარიზაციაზე და ახალგაზრდების ჩართულობაზე. უნდა აღინიშნოს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხარდაჭერა და დაინტერესება რაგბის მიმართ. ხობის მუნიციპალიტეტში უკვე წლებია ფუნქციონირებს რაგბის წრე და ხობელი ბავშვები აქტიურად არიან დაკავებულნი სპორტის ამ სახეობით

## ქალაქ უმანის წარმომადგენლები ხობში



11 აპრილს ქ. ხობში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე ჩამოსულ სტუმრებს–უკრაინის ქალაქ უმანის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ნატალია დობიჩენკოს და ქორეოგრაფ ვიქტორია გლოვჩაკს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაიას შეხვდნენ.

შეხვედრაზე კულტურის სფეროში ურთიერთობების გაღრმავებაზე და ურთიერთ თანამშრომლობით სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაზე ისაუბრეს. შეხვედრას, საკრებულოს საფინანსო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრია,საკრებულოს აპარატის უფროსი ლელა შამათავა, აპარატის თანამშრომლები, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია და „ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის" დირექტორის მოადგილე კახა ჩიტაია ესწრებოდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკრაინელ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

## ოჯახის ექიმებს ონკოლოგიურ დაავადებებზე ტრენინგი ჩაუტარდათ



22 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და ადრეულ დიაგნოსტიკაზე ტრენინგის მეორე ეტაპი დაიწყო. სამდღიანი ტრენინგი, რომელიც ოჯახის ექიმებს და მედდებს ჩაუტარდათ, ორგანიზაცია „ჩეხეთის რესპუბლიკის კარატასი საქართველოში"-ს ორგანიზებით განხორციელდა.

ტრენინგის მეორე ეტაპზე ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა სახის ონკოლოგიურ დაავადებაზე - ძუძუს, საშვილოსნოს და პროსტატის კიბო, ლეიკემია; დაავადებათა ეტიოლოგიაზე და მისი მკურნალობის ქირურგიულ, ქიმიურ და ჰორმონულ მეთოდებზე, ონკოლოგიურ დაავადებათა სიმპტომებზე და რისკ ფაქტორებზე.

ტრენინგს ჩეხი ონკოლოგები და ორგანიზაციის მიერ თბილისის ონკოლოგიური ცენტრიდან მოწვეული ონკოლოგები უძღვებოდნენ. ჩეხმა ექიმებმა დამსწრე საზოგადოებას ჩეხეთის რესპუბლიკაში ონკოლოგიური დაავადებების სტატისტიკა, ქიმიოთერაპიის მეთოდოლოგია, მუშაობის პირობები და უფლება-მოვალეობები გააცნეს.

ტრენინგის მესამე ეტაპი, რომელიც დაავადებულთა პალიატურ მზრუნველობას მოიცავს, 21-22 მაისს ჩატარდება.

## გუბერნატორმა გურიფულში ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა



ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა ლევან შონიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან და გამგებლის პირველ მოადგილე ვარაზ გაბედავასთან ერთად გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა. ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რომლის ღირებულებაც 1 მილიონ ლარამდეა, შპს „GORKEM" ახორციელებს და 20 ადგილობრივი ადამიანია დასაქმებული.

სამუშაოები ნოემბერში დასრულდება, რის შემდეგაც მდინარე ხობის ადიდების შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და საავტომობილო გზა დატბორვისგან იქნება დაცული.

## ქვალონში სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება



ხობის მუნიციპალიტეტის ზემო ქვალონის და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა ლევან შონიამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, 1050 მცხოვრებს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა მოეხსნება და წყალი 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება.

პროექტს, რომლის ღირებულებაც 499500 ლარია, შპს „არქი კულტურა" ახორციელებს.

სამუშაოები, რომელშიც 15 ადგილობრივი ადამიანია დასაქმებული, აგვისტოში დასრულდება.

## ქალაქ ხობში ორ ქუჩაზე შემოღებულიქნა ცალმხრივი მოძრაობა



ქ. ხობში 9 აპრილისა და ბერიას ქუჩაზე შემოღებულიქნა ცალმხრივი მოძრაობა. კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალებით ცოტნე დადიანის ქუჩიდან ბერიას ქუჩის მიმართულებით შეხვევა და 9 აპრილის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩის მიმართულებით მოძრაობა აიკრძალა. ქუჩების გადაკვეთაზე განთავსებულია ამკრძალავი ნიშნები.

# როგორ აღმოჩნდა საქართველოში 83 წმინდა ნაწილი, რომელთათვისაც სპეციალური მოოქრული ლუსკუმა დამზადდა და რა საჩუქარი გაუკეთეს რუსეთისა და უკრაინის პატრიარქებმა გოდერძი ბუკიას



**ხობში, კერძოდ, სოფელ პირველ მაისში, ბათუს მთაზე ულამაზესი საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენცია მდებარეობს, რომელიც მისი უწმიდესობის კურთხევით, საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გოდერძი ბუკიამ ააშენა.**

**2013 წელს სამონასტრო კომპლექსს, რუსეთისა და უკრაინის პატრიარქების შეთანხმებით, მუდმივ მფლობელობაში გადაეცა კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებული წმიდანების 83 წმიდა ნაწილი, რაც მთელი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს.**

## გოდერძი ბუკია:

ათეული წლების წინ ფოთში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ და ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა მიმიწვიეს შეხვედრაზე, სადაც მისმა უწმიდესობამ შემომთავაზა, სხვადასხვა აქციებში მიმეღო მონაწილეობა. მაშინ მძიმე პერიოდი მქონდა ბიზნესისა და ზოგადად შემოსავლების მხრივ და ვუთხარი, რომ არ მქონდა ამის საშუალება. მაშინ პატრიარქმა ღიმილით მითხრა: შეეცადე და ღმერთი აუცილებლად მოგცემსო. ეს სიტყვები დღემდე მახსოვს და ის მთელ ჩემს ცხოვრებაზე აისახა. მართლაც, იმ დღიდან მოყოლებული ვცდილობდი, თუ რამე გამიჩნდებოდა, ეკლესიური საქმიანობისთვის მომეხმარებინა. რასაც ვწირავდი, იმაზე ათეულობით მეტი მოდიოდა სხვადასხვა პროექტიდან, ისეთიდანაც კი, საიდანაც არც ველოდი. ამის მერე გადავწყვიტე, ეკლესია ამეშენებინა. მეუფე გრიგოლისგან ავიღე კურთხევა, რომელმაც 2006 წელს აკურთხა ტაძრის საძირკველი. ღმერთმა ჩემი ოცნება აახდინა. ხობი უდიდესი და უძველესი ტრადიციების მქონე ქალაქია, ამიტომაც ავირჩიე ეს ადგილი ეკლესიის ასაშენებლად – ხობი, სოფელი პირველი მაისი, ბათუს მთა, სადაც ბავშვობა მაქვს გატარებული. ჩემს ბავშვობაში დღევანდელი საეკლესიო კომპლექსის წინ იყო სკოლა. როდესაც ბავშვები სკოლიდან ვიპარებოდით, ამჟამინდელი კომპლექსის ადგილას ვიმალებოდით, სადაც მაშინ მხოლოდ ხეები იყო. ამაღლებული ადგილიდან ვხალისობდით, როცა ვხედავდით, როგორ დარბოდნენ მასწავლებლები ჩვენ საძებნელად.

არქიტექტორი ვარ, მაგრამ რადგან ტაძრის დაპროექტებაზე არ მქონდა კურთხევა, ამიტომ მივმართე არქიტექტორ რეზო ჯანაშიას და ჩემს მეგობარ ნუგზარ ლომაიას, რომელსაც სამშენებლო კომპანია აქვს. მათი დახმარებით დავიწყეთ მშენებლობა. თავიდან მხოლოდ ეკლესიის აშენება იყო გათვალისწინებული, შემდეგ საეკლესიო კომპლექსი გახდა. სამი მფარველი ანგელოზი მყავს: წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი და ღვთისმშობელი. ამიტომ იქ არის წმიდა ნიკოლოზისა და წმიდა გიორგის პატარა ეკლესიები, შუაში კი–ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების დიდი ეკლესია. ბოლოს უკვე ავაშენეთ საპატრიარქო რეზიდენცია. რადგან პატრიარქს სამეგრელოში არ ჰქონდა რეზიდენცია და მინდოდა, ეს ხობში ყოფილიყო. პატრიარქი რჩევებს სულ მაძლევდა, როგორი თბილი და რბილიც არის, ასეთივე თბილი და რბილი რჩევების მოცემა იცის. მეუფე გრიგოლი უფრო მეტად იყო საქმეში ჩართული. ჩემი პრინციპი გახლდათ, აშენებულიყო მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო და მართლაც ასე მოხდა. სოფლებში ბრიგადები იქმნებოდა, ხალხი თავისი სურვილით მოდიოდა–ქვას ქვაზე ადებდა, რათა ერთიანი ძალებით აეშენებინათ. საბოლოოდ, აშენდა უნიკალური კომპლექსი. საეკლესიო კომპლექსის კანკელები და ტრაპეზები ძმებმა ხარებავებმა შემოსწირეს. 2013 წლის 10 მაისს უნდა შემდგარიყო ფოთის საკათედრო ტაძრის კურთხევა, სადაც პატრიარქი მიბრძანდებოდა. მივედი პატრიარქთან და ვთხოვე: რადგან აქეთ მოემგზავრებით, იქნებ ჩვენთანაც მოსულიყავით და თქვენს რეზიდენციაში ღამე გაგეთენებინათმეთქი. არავის ეგონა, რომ პატრიარქი ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მაგრამ ჩემი სჯერა, მენდობა და თქვა: რადგან ასე გინდა, ერთი დღით ადრე წამოვალო. მოკლედ, მთელი გეგმები შეცვალა. ეშმაკები, ხომ იცით, ყველგან არიან და აქაც შეგვექმნა სერიოზული პრობლემა. რეზიდენციას წყლის სამმაგი მომარაგება აქვს. როდესაც პატრიარქი მობრძანდა, აღმოჩნდა, რომ რეზერვუარები ცარიელი იყო და წყალიც არ მოდიოდა. ერთი ამბავი ატყდა: პატრიარქი ისეთ ადგილას მიიყვანეს, სადაც წყალი არ არისო და სხვაგან გამგზავრება გადაწყვიტეს. მაგრამ, პატრიარქმა განაცხადა: აქ ჩამოვედი და აქ უნდა დავრჩეო. მალევე ყველაფერი მოგვარდა. პატრიარქმა ფეხით მოიარა ყველაფერი. მითხრა: ეს რა გიქნია, ევროპა მოგიწყვია ჩემთვისო.

***რა გაითვალისწინეთ რეზიდენციის მშენებლობისას?***

– უპირველეს ყოვლისა, მისი უწმიდესობის გემოვნება. საპატრიარქოს მხრიდან რეკომენდებული დიზაინერებისა და მხატვრების მიერ იყო ყველაფერი გაფორმებული და აბსოლუტურად დაცულია კანონიკა. განსაკუთრებით ლამაზია პატრიარქის ეზო, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს და ბევრი ლამაზი ხე, ბუჩქი და ყვავილია დარგული. თუ სადმე რამე ლამაზია, ყველაფერი იქ არის. პატრიარქმა საღამოს დაიძინა. ღამე რომ გაილვიძა, მეც იქვე ვიყავი და ფეხით მოვიარეთ ყველაფერი, ძალიან მოეწონა. გადასახედიც აქვს, საიდანაც ზღვა და აფხაზეთი ჩანს. იქვეა ბიბლიოთეკა, სატრაპეზო, სენაკები, პატრიარქისა და მეუფის რეზიდენციები – ყველაფერი, რაც საჭიროა. ერთი წლის შემდეგ პატრიარქმა კომპლექსს ღვთისმშობლის ხატი აჩუქა – „მოალერსე“, რომელიც ტაძარშია დაბრძანებული. ყველა შეხვედრისას მეკითხება: როგორ არის საქმე, რა ხდება, ყველაფერი ხომ კარგად არისო. როცა მოისურვებს, შეუძლია, ჩაბრძანდეს და იქ ყველაფერი ისე დახვდება, როგორც საჭიროა. საეკლესიო კომპლექსს ჰყავს წინამძღვარი, მამა იაკობი – ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი ადამიანი. მეც, როგორც შემიძლია, ყველანაირად ვეხმარები.

***ამ საეკლესიო კომპლექსში დღეს ინახება კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებული წმიდანების 83 წმიდა ნაწილი, რომელიც კომპლექსის მუდმივ მფლობელობაშია.***

–როდესაც საეკლესიო კომპლექსი ეკურთხა, ბევრი ხალხი მობრძანდა. მათ შორის ჩემი ოჯახის მეგობრებიც, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ. ყველას სურდა, დასწრებოდა ამ დიდებულ დღეს. ერთ-ერთი, ჩემი მეგობრების ოჯახი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, რუსეთის პატრიარქ კირილთან და უკრაინის პატრიარქ ფილარეტთანაა ძალიან ახლოს. როგორც ჩანს, როდესაც მათ ნახეს სამონასტრო კომპლექსი, საპატრიარქო რეზიდენცია, ჩემი და პატრიარქის ურთიერთობა, ეს ამბავი აცნობეს საპატრიარქოს. ამის შემდეგ კი პატრიარქ კირილისა და პატრიარქ ფილარეტის გადაწყვეტილებით, საეკლესიო კომპლექსისთვის მუდმივ მფლობელობაში გადმომეცა წმიდანების 83 წმიდა ნაწილი. რა თქმა უნდა, მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. უბრალოდ, ერთ დღეს დამირეკეს და მითხრეს: რუსეთის პატრიარქ კირილისა და უკრაინის პატრიარქ ფილარეტის გადაწყვეტილებით, კიევ-პეჩორის ლავრაში დაბრძანებული წმიდანების 83 წმიდა ნაწილი მუდმივ მფლობელობაში გადმოგეცათო. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ თავიდან ვერც მივხვდი მის მნიშვნელობას, ჩვეულებრივი ამბავი მეგონა. მერე მეუფეს მოვუყევი, პატრიარქს. არავინ დაიჯერა, მათ შორის პატრიარქმაც – ასეთი რამ არ ხდება, შეიძლება, ერთი წმიდა ნაწილი მოგცეს ვინმემ საჩუქრადო. გავიდა გარკვეული დრო და აგვისტოში დამირეკეს: სოფრინოში, სადაც დიდი საეკლესიო წარმოებაა, მოოქრული ლუსკუმა უკვე დამზადებულია 83 წმიდა ნაწილის ჩასაბრძანებლად და მარიამობისთვის შეგიძლიათ, საქართველოში წააბრძანოთო. მაინც არავინ დამიჯერა ეს ამბავი და მეც ჩავთვალე: ხმა არ ამომეღო. მარიამობამდე ორი დღით ადრე, კვლავ დამირეკეს და მითხრეს: ყველაფერი მზად არის, ბერი მამა ანტონი გამოჰყვება ლუსკუმას და მარიამობას ხობში ჩააბრძანებთ წმიდა ნაწილებსო. იმ დროს მოსკოვში ვიყავი, დავრეკე საქართველოში, გავაფრთხილე ყველა. მარიამობას პატრიარქი სიონში წირავდა და მითხრეს: აქ მოაბრძანეთო. თბილისში გამომგზავრებამდე ლუსკუმა ჩემთან, სახლში მოაბრძანეს. მთელი ღამე არ მიძინია, ვეფერებოდი, ვკოცნიდი. მეორე დილით გამოვაფრინეთ, ბერ მამა ანტონთან ერთად წყნეთში, ჩემთან სახლში მიაბრძანეს. ხალხი მოდიოდა მოსალოცად. 28 აგვისტოს კი, დილით, მეც ჩამოვფრინდი და ლუსკუმა სიონში მივაბრძანეთ. კართან შეგხვდნენ მორჩილები და ხელში აიტაცეს. პატრიარქმა რომ ნახა, დაიჩოქა და აი, მაშინ ყველა დარწმუნდა, რომ ეს ნამდვილად მოხდა. შემდეგ, მთელი წირვის განმავლობაში, საკურთხეველში იყო დაბრძანებული. პატრიარქს არაფერი უთქვამს, მაგრამ სხვები მეუბნეობოდნენ: აქ ხომ არ დავტოვოთ–სიონში ან სამებაში და მერე, დღესასწაულზე გადავაბრძანოთ ხობშიო. მაგრამ, ბერმა მამა ანტონმა განაცხადა: ხობში უნდა ჩავაბრძანოთ, კურთხევა მაქვს – პირველი მაისის ეკლესიის მუდმივ მფლობელობაში უნდა იყოსო. პატრიარქმა საზეიმო ტრაპეზზე დაგვპატიჟა და შემდეგ გზა დაგვილოცა. ასე რომ, წამოვაბრძანეთ მარიამობას ხობში. უამრავი ხალხი ელოდებოდა. დიდი ზეიმით შეხვდნენ ისინი ამ უდიდეს სიწმიდეს, სადაც მეუფე გრიგოლი და მეუფე გერასიმე დაგვხვდნენ. მათ საზეიმო ლოცვა აღავლინეს. ეს დიდი იშვიათობაა და ამიტომაც, თავიდან დაუჯერებელი იყო. ყველას თავისი სახელი აწერია, სიაც ახლავს თან. სხვადასხვა ნაწილია, პატარა-პატარა.

***როდის ხდება მათი ტაძარში გამობრძანება?***

– წმიდა ნაწილები ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველშია დაბრძანებული და დიდ დღესასწაულებზე, წირვებზე ხდება მათი გამობრძანება, რათა მომლოცველებმა მოილოცონ. ასევე, როდესაც ადამიანების გარკვეული რაოდენობა მოდის, მათთვისაც გამოაბრძანებენ, რათა მასთან მიახლების საშუალება მისცენ.

***როდის შეხვდით პირველად პატრიარქს?***

– პატრიარქს პირველად დიდი ხნის წინ შევხვდი, 90-იან წლებში. როგორც კი აქტიური საქმიანობა დავიწყე, სულ მიწევდა საპატრიარქოში მისვლა. მისი უწმიდესობაც გავიცანი და ნელ-ნელა დავახლოვდით. ჩვენი დაახლოება ერთ მნიშვნელოვან ფაქტს უკავშირდება: მოსკოვში ცხოვრობს ძალიან ნიჭიერი, გამოჩენილი მხატვარი მიშა კულუმბეგოვი, რომელიც ცხინვალიდან არის. ერთმანეთი სამხატვრო აკადემიაში გავიცანით, სადაც ის სწავლობდა და მე ვმუშაობდი. შემდეგ მოსკოვში მომძებნა, დახმარება მთხოვა და მეც დავეხმარე ბევრ რამეში, რადგან ძალიან ნიჭიერია. ერთ დღესაც მითხრა: ხატი მაქვს, რომელიც ძალიან ძვირფასია. სამაჩაბლოს ომის დროს ეკლესია იწვოდა და დაწვას გადავარჩინე. ახლა მინდა, თქვენ გაჩუქოთო. მოსკოვში მომიტანა ხატი „საქართველოს დიდება“. შემდეგ ეს ამბავი პატრიარქს მოვუყევი და მან მითხრა: ძალიან კარგი იქნება, თუ ხატი ორიგინალი აღმოჩნდება – გრავიურა, რომელიც გერმანიაში დაიბეჭდა და რამდენიმეღაა დარჩენილიო. მაშინ საზღვარზე არ გადმომატანინეს. ცოტა მოგვიანებით, ანუ 2005 წელს, როდესაც ფესტივალი ტარდებოდა, სპეციალური თვითმფრინავით გადმოვაფრინე ხატი. 2006 წლის იანვარში კი პატრიარქს დაბადების დღეზე ჩემმა შვილებმა–ლაკომ და ნათიამ მიართვეს. პატრიარქი გახარებული და გაოცებული დარჩა, რადგან ხატი ორიგინალი აღმოჩნდა. ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო ჩვენი ახლო ურთიერთობა, დღეს კი ძალიან მენდობა, ყველაფერს მიყვება. რომ მხედავს, სახე უნათდებდა და მეფერება–მეც ამით გახარებული და გალაღებული ვარ. როცა ხობში მუსიკალურ ფესტივალს ვაწყობ, თუ შეუძლია, აუცილებლად ჩამოდის. ბოლო ფესტივალი თამარ გვერდწითელსა და ანსამბლ „რუსთავს“ მიეძღვნა. უნიკალური ანთოლოგია გამოიცა, რომელშიც ანსამბლ „რუსთავის“ მიერ შესრულებული 380 ქართული ხალხური სიმღერაა შესული, მათ შორის, 60 მეგრული სიმღერაა, 16 კომპაქტდისკი. მივუტანე პატრიარქს, მოეწონა და ისე გაუხარდა, რომ 25 ცალი კიდევ გავუგზავნე. სულ ვცდილობ, არაფერი მთხოვოს, თავად მივხვდე, რა სურს და გავაკეთო. ჩვენ, ყველანი ცოდვილები ვართ და მიუხედავად მისი ჩემდამი დადებითი დამოკიდებულებისა, ნდობისა, არასდროს მიფიქრია, პრივილეგიებით მესარგებლა. ვცდილობ, მაქსიმალურად ხშირად ვიყო ეკლესიაში. მადლობა შევწირო ღმერთს იმისთვის, რომ მომცა საშუალება, ბევრი რამ მეკეთებინა. ყოველ წელს ვიცვლი ჩანაწერების წიგნაკს და ყველას პირველ გვერდზე პავლე მოციქულის სიტყვებს ვაწერ, რომელიც ჩემი ცხოვრების პრინციპია: „ნუ ამაყობ, რომ სიკეთეს აკეთებ – ეს უფლის ნაბოძვარია. იგი ისე უხდება ადამიანს, როგორც კარგი სამოსი“.

**ჟურნალი „თბილისელები“**

## ღვაწლმოსილი

# მოკრძალებითა და პატივისცემით მოგეფერებით!



მასთან ნაცნობობა ჩემი ბავშვობის წლებთან ასოცირდება. ქალბატონი ნელი ბუკია ხობში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა და მოზარდი თაობის სიმპათია მოიპოვა. ნელი პიონერმოსწავლეთა სახლს ხელმძღვანელობდა. მის გარშემო მუდამ ბავშვების ჟრიამული იყო. ღონისძიებებს ღონისძიებები ენაცვლებოდა... აქტიური და მონდომებული ახალგაზრდის რეიტინგი საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ის ჩემი კუმირი გახლდათ. მას ყოველთვის დიდ პატივს მივაგებდი, მოკრძალებით ვხვდებოდი.

კარგი ხელმძღვანელი, განათლებული, საქმიანი, ძალზე სერიოზული და მოსიყვარულე ნელი ბუკია, ყველას პატივისცემას იმსახურებდა.

გადიოდა წლები, ნელის უკვე მოზარდ თაობასთან სხვა ამპლუაში უხდებოდა ურთიერთობა. ხობის №1 სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. შემდეგ პარალელურად განათლების განყოფილებაში ჯერ მეთოდისტი, შემდეგ განყოფილების გამგის მოადგილე გახლდათ. ეს ორი დიდი, შრომატევადი, მაგრამ სასიამოვნო საქმე ერთმანეთს ლამაზად და საქმიანად ერწყმოდა. მან ამ სისტემაში ათეული წელი იღვაწა. შეიძლება ითქვას, ამ საქმის დიდოსტატი, სასკოლო ცხოვრების ნამდვილი „ენციკლოპედია“ გახლდათ. მან ყველა სკოლის საქმიანობა იცოდა და ყველა პედაგოგს უდიდეს პატივს მიაგებდა, ამიტომაც ყველა ემადლიერებოდა და უყვარდათ.

ნელი ბუკიას ძალიან თბილი და ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებული ოჯახი ჰქონდა. ის საუცხოო პიროვნების, პედაგოგ ჯონი კვირტიას მეუღლე გახლავთ. ორი ვაჟიშვილის მშობლები თავს ბედნიერად გრძნობდნენ, მაგრამ ცოლ-ქმარს ბედნიერება უდიდესმა მწუხარებამ შეუცვალა. თავიანთი უსაყვარლესი ვაჟიშვილი, შესახედავად დედის ალი-კვალი გოჩა ავტოკატასტროფას შეეწირა და... ამ ტრაგედიამ ცხოვრება გაუნახევრა ნელისა და ჯონის, ენით გამოუთქმელი მწუხარება ძნელი შესაგუებელი და გადასატანი გაუხდათ. მას შემდეგ 19 წელი გავიდა. ნელი მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ არ გატყდა. დარდისა და ვაების დაფარვა თავისებურად სცადა, თავის მწუხარებას სხვებს თავს არ ახვევდა და ტკივილებს თითქოსდა შეეგუა... არადა, ვინ რა იცის, ქალური სინაზის მიღმა მასში რა მტკივნეული და მწუხარე გული ძგერდა. მან ჭირთათმენის უნიკალური თვისებები გამოიჩინა. თუმცა ეს ბოლომდე ვერ შესძლო ბატონმა ჯონიმ, ტანჯვას განერიდა, ნატანჯი და სულიერი ტკივილისგან დაღლილი გარდაიცვალა. ნელის ტკივილს ტკივილი დაემატა. ყოველივე ამან მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა. სამსახურს თავი დაანება. დღეს იგი ერთადერთი შვილის–ბესოსა და რძლის–ინგას იმედადაა. უჭირს გადაადგილება. მის გულს მალამოსავით ესალბუნება შვილიშვილების, ულამაზესი და უნიჭიერესი გოგონების–სტუდენტი თათიასა და მე-10 კლასელი სოფიკოს მოფერება, მათი წარმატებები. ოჯახი მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირია. მისი ხვალინდელი დღე შვილი, რძალი და შვილიშვილებია.

ქალბატონ ნელის ოჯახს ხშირად სტუმრობენ ახლობლები, ახალგაზრდები, კოლეგები, მეგობრები. ამასწინათ თავისი მეგობარი კოლეგები ქალბატონი რალა ჩემია, ბატონები შალვა ხარებავა და საშა არჩაია სტუმრობდნენ. ეს თბილი და ლამაზი დღე ქალბატონ ნელის დიდხანს გაყვება, როგორც სანატრელი შეხვედრა, დაუვიწყარი მოგონება... დამშვიდობებისას მათ დიდიხნის ლამაზი და ბედნიერ დღეთა სიმრავლე უსურვეს.

თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ ქალბატონო ნელი. იყავით დიდხანს ჯანმრთელად, მხნედ და ძლიერად, ისე, როგორც ყოველთვის გჩვევიათ.

ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ აწ და მარადის!

სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით

***ნანი კილასონია.***

# ევროპის იმუნიზაციის კვირეული

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის №01-57/6 ბრძანებით.

პროფილაქტიკური აცრები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ტარდება 12 სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ 0-დან 15 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა კონტიგენტში.

ევროპის მასშტაბით ყოველწლურად აპრილის თვეში ტარდება იმუნიზაციის კვირეული. მ/ წლის იმუნიზაციის კვირეულად გამოცხადებული იყო 25-30 აპრილი. ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი ეპიდემიოლოგების მიერ იმუნიზაციის კვირეულის პერიოდში ჩატარდა შეხვედრა ხობის მუნიციპალიეტის სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ხეთის, ხამისქურის, ხობის №3 და ნოჯიხევის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებთან და აღსაზრდელების მშობლებთან.

იმუნიზაციის კვირეულის ჩატარების მიზანი იყო ყოველწლიურად გაემახვილებინა მოსახლეობის ყურადღება იმუნიზაციის საკითხებზე, მის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისგან.

გადარჩენილ სიცოცხლეთა რაოდენობის თვალსაზრისით, კაცობრიობა მედიცინის სხვა არცერთ დარგთან არ არის ისეთ ვალში, როგორც იმუნიზაციასთან.

იმუნიზაცია შესულია ყველა დროის უდიდეს სამედიცინო მიღწევათ ათეულში (პენიცილინი, რენტგენის სხივები, დნმ. ინსულინი, ანესთეზია და სხვა). აღნიშნულ ჩამონათვალში მე-2 ადგილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაციას უკავია, ხოლო მე-8 ადგილი მორის ჰილემანის მიერ შექმნილ წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო კომბინირებულ ვაქცინას.

მე-20 საუკუნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმ მოღვაწეთა ათეულში, რომელთაც შეცვალეს კაცობრიობა (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ინფექციურ დაავადებათა კონტროლი, უსაფრთხო საკვები და გარემო, ოჯახის დაგეგმარება და სხვა) იმუნიზაცია იკავებს პირველ ადგლს.

იმუნიზაციის პროგრამის საშუალებით ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში ყოველწლიურად თავიდან აცილებულია ბავშვთა სიკვდილის 3 მილიონი შემთხვევა, ხოლო 750 ათასი ბავვში გადარჩენილია სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის სხვა შეუქცევადი დარღვევებისგან.




2000-2013 წლებში მსოფლიოში წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაციის მეშვეობით თავიდან იქნა აცილებული 15,6 მილიონი წითელათი გარდაცვალების შემთხვევა.

მიუხედავად ამისა, ევროპის რეგიონშიც კი, 2014 წელს რეგისტრირებულია წითელას 16156 შემთხვევა, რაც ორჯერ ნაკლებია 2013 წელთან შედარებით დიდი ეპიდაფეტქებები იყო გერმანიაში, იტალიაში, ყირგიზეთში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, საქართელოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, 2008 წელს მსოფლიოში 199 ათასი 5 წლამდე ასაკის აივ-უარყოფითი ბავშვი გარდაიცვალა ჰემოფილუს ინფლუენელატიპი ბ ინფექციით და 4776 ათასი პნევმოკოკური ინფექციით.

ამავე შეფასების მიხედვით, ყველა მიზეზი გამოწვეული 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობაში 2% მოდის ჰიბ ინფექციაზე, ხოლო 5% პნევმოკურ ინფექციაზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის, ბ ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომილეტიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, როტავირუსული ინფექციის, პნევმოკოკური ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინაციას 10 ვაქცინის საშუალებით.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და პრეკვალიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით და უსაფრთხოებით.

პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის. რადგან ამ ვაქცინების ღირებულებას სრულად იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ფარავს.

ხობის მუნიცპალიტეტის საზაგადოებივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან 0-დან 15-წლამდე ბავშვთა ასაკის ვაქცინების წარმატებით ჩატარებისთვის. ჩვენს მიერ სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია აღსაზრდელების მშობლებს აცრების აუცილებლობისა და ვაქცინაციის დადებითი მხარეების შესახებ. იმის შესახებ, რომ არავაქცინირებული ბავშვი საფრთხეს უქმნის არამარტო საკუთარ, არამედ გარშემომყოფი ბავშვების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებას გადაეცა პოსტერები საქართველოს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესახებ. პროფილაქტიკური აცრების ხელშეწყბით, ნებისმიერი ჩვენი მოქალაქე გახდება სახელმწიფოს ძლიერი მხარდამჭერი მომავალი თაობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან საქმეში.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***



**ხობის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე სპექტაკლი „ნათელა" ტარდებოდა, რომელსაც თეატრთან არსებული ბავშვთა თეატრის პატარა მსახიობები წარმოადგენდნენ, სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი კი ქალბატონი მარინა ჯღარკავა გახლდათ. სპექტაკლს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლის დასასრულს გავესაუბრე ქალბატონ მარინას.**

# „თეატრი ამოუხსნელი ფენომენია..."

***რა გიყვართ თეატრში, როგორც მაყურებელს და როგორც მსახიობს?***

–ჩემთვის ძალიან ძნელია იმისი ახსნა, თუ რა მიყვარს თეატრში... მე მიყვარს თეატრი ერთ მთლიანობაში, თავისი სინთეზურობის სრული წარმოჩენით. როგორც მსახიობს, მომწონს საინტერესო როლზე, ნიჭიერ რეჟისორთან და კარგ შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობა. როგორც მაყურებელი, დიდი სიამოვნებით ვუყურებ სპექტაკლს, სადაც დამაინტრიგებელი რეჟისორული ხედვა და დამაჯერებელი სამსახიობო ოსტატობაა ნაჩვენები... როცა შემსრულებელი თან გამიტაცებს, თავს მაკარგვინებს და მამყოფებს მის სამყაროში, როცა ვტირი და მტკივა მასთან ერთად, როცა ვიცინი და მასთან ერთად შევხარი სამყაროს, როცა ერთნი ვართ!... ეს ბედნიერებაა!... და დიდებულია ორივე ამპლუაში ყოფნა!

***თეატრი გიყვართ, და როგორი თეატრი? თუ რაც კარგია, ყველა?***

–ამ სიყვარულზე იშვიათად ვსაუბრობ, რადგან მგონია, რომ ყველა ვერ გამიგებს... თეატრი ამოუხსნელი ფენომენია... სცენიური ცხოვრება ისეთი დადებითი მუხტის მომცემია, ისეთი მიზიდულობის ძალა აქვს, ...რომ მერე გიჭირს აქედან წასვლა... როცა სცენაზე დგახარ დაღლილი, ემოციებისგან დაცლილი, დარბაზიდან კი საოცარი აურა მოდის... თვალებგაბრწყინებული, ხანაც თვალცრემლიანი, მაგრამ მადლიერი მაყურებელი ფეხზე დგას და ტაშს გიკრავს!.. ამ ბედნიერ წუთებს ვერაფერი შეცვლის!.. მართლაც წუთებს, რადგან, აი, ფარდა შეირხა და იხურება... სპექტაკლი დამთავრდა და ის არასდროს განმეორდება!.. იქნებ, ამიტომაცაა თეატრი ასეთი მისტიური!?. და მე ის მიყვარს თავისი ავითა და კარგით!

***ქალბატონო მარინა, თქვენს მიერ განსახიერებული როლები კარგად ახსოვს ხობელ მაყურებელს, როგორც მსახიობი სად უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს?***

–სასიამოვნოა ამისი მოსმენა... 30-ზე მეტი როლი განვასახიერე ამ სცენაზე... ყველა მათგანი მიყვარს!.. როლი ბავშვივითაა, შენში ისახება,ზრდი, ესათუთები, ხვეწ, უღრმავდები, ყოველდღე რაღაც ახალს სძენ... და ხელოვნების დარგებიდან ყველასგან განსხვავებული ნიშანი, რაც მხოლოდ თეატრს ახასიათებს... მისი პირმშო პირდაპირ მაყურებლის თვალწინ იბადება... არა აქვს მნიშვნელობა დადებით გმირს თამაშობ თუ უარყოფითს, შენ ცდილობ შენი პერსონაჟის ქმედება დამაჯერებელი და საინტერესო იყოს... ეხლაც მძაფრია ემოციები ჩემში, როცა ვიგონებ როლებს: ნინო-ამირან აბშილავას „ადამიანი დაბრუნდა", რუსუდანი-ვლადიმერ იაკაშვილის „კარიერა", ანნა-გენო და ზაურ კალანდიების „ძე შეცდომილი", ბებიანოდარ დუმბაძის „სისხლი", ელისაბედი-რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", სოფა-ჯემალ მონიავას „ჯვარცმული ბედნიერება" ...მონატრება მომეძალა ახლა, რაღაც ახლის თამაში მომინდა!.



***ყველამ თავისი თეატრი უნდა იპოვოსო, როგორ ფიქრობთ, თქვენ, თქვენი თეატრი იპოვეთ?***

–მე უპირველესად მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი პირველი მასწავლებლის და რეჟისორის მიმართ, რომელმაც მე მიპოვა და თეატრში მომიყვანა... შესანიშნავი მსახიობი და რეჟისორი, ჩემი საუკეთესო პარტნიორი სცენაზე, ბატონი რამაზ ლოლუა... მე ამ სცენაზე ავიდგი ფეხი, როგორც მსახიობმა... შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე... ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა:–ეს ჩემი თეატრია, მაგრამ გულახდილი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი სხვა თეატრშიც, თუნდაც ძალების მოსასინჯად, რადგან მეტ გამოცდილებას იძენ, გეხვეწება გამომსახველობითი შესაძლებლობები და იზრდები, როგორც მსახიობი.

***ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებდა რესპუბლიკურ სასკოლო თეატრალურ ფესტივალს. ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ხობის №1 საჯარო სკოლამ, დაიდგა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი" რომელმაც საკმაო აღიარება მოგიტანათ, რას მეტყოდით ამის შესახებ?***

–ხობის №1 საჯარო სკოლის დირექციამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია) მთხოვა მათი სკოლის ბაზაზე დამედგა სპექტაკლი. უმოკლეს ვადაში, მაგრამ ძალიან დიდი შრომისა და მონდომების შედეგად განხორციელდა დადგმა და გადაღებული მასალა (ირაკლი შონიას ვიდეო გადაღება და მონტაჟი) გაიგზავნა თბილისში (მხატვარი: ემილ გეგენავა) ფესტივალის კომპეტენტურმა ჟიურიმ, წარმოდგენილი 33 სპექტაკლიდან შეარჩია საუკეთესოთა შორის საუკეთესო და ხობის №1 საჯარო სკოლის სპექტაკლს მიანიჭა II ადგილი, 2000 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი და გვერგო პატივი, გაგვეხსნა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ...ეს იყო საოცარი რამ, იდგე იმ სცენაზე, სადაც კოტე მარჯანიშვილს, პიერ კობახიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, სოფიკო ჭიაურელს და სხვა ქართული სცენის კორიფეებს უთამაშნიათ...უდიდესი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა...შემდეგ კი ოცივე მოსწავლე სახელმწიფო დაფინანსებით გაიგზავნა ბაქსვუდის ინგლისურენოვან საზაფხულო ბანაკში დასასვენებლად. ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო.

***სპექტაკლით „ნათელა", როგორი კმაყოფილი ხართ?***

–მიღწეულით არასდროს არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ სპექტაკლი შედგა. მაყურებელს ვთხოვ: ნუ იქნება ძალიან მომთხოვნი და კრიტიკული... ისინი ხომ ბავშვები არიან, პირველად დგანან სცენაზე, ძალიან ღელავენ და განიცდიან...მთავარია, რომ მათ უყვართ თეატრი და აქ ქართული სიტყვის მადლს ეზიარებიან... ბავშვებო, მიყვარხართ ძალიან! თქვენ ძალიან კარგები იყავით!

***თავის დროზე ამბობდნენ, რომ კინო, ტელევიზია მოიინელებდა თეატრს, მაგრამ თეატრმა ორივეს შემოტევებს გაუძლო. ახლა ინტერნეტზე და ახალ ტექნოლოგიებზე ამბობენ იგივეს. როგორ ფიქრობთ მოზარდებს აინტერესებთ თეატრი?***

–ვერ ვიტყვი, რომ ყველას უყვარს, ან აინტერესებს... მაგრამ ბავშვებს, რომლებსაც თეატრთან ხშირი კონტაქტი ექნებათ და ამ კულტურაზე გაიზრდებიან, ვინც ერთხელ მაინც ჩაისუნთქავს სცენის მტვერს, კიდეც ეყვარებათ თეატრი და ეცდებიან კიდეც ეს ცხოვრების წესად გადააქციონ... კინოს, ტელევიზიას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მაგრამ თეატრით მონიჭებულ სიამოვნებას ვერაფერი შეცვლის...ამიტომ, რაც შეიძლება მეტი სპექტაკლი უნდა დაიდგას, რათა ხელი შევუწყოთ მოზარდი თაობის თეატრალურ კულტურასთან ინტეგრირებას და მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზებას.



***როგორია ბავშვებთან ურთიერთობა?***

–რთულიც, მაგრამ საინტერესოც. ყველა ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება...კარგია, როცა ადრეულ ასაკშივე დაიხვეწება მეტყველება, პლასტიკა. მოგვიანებით კომპლექსები უჩნდებათ და თვითრეალიზაცია ფერხდება, შესაძლებელია ამისი სურვილი საერთოდ ჩაქრეს...მაგრამ მაინც, როცა დაუღალავი მუშაობის შედეგი სახეზეა და მიზანი მიღწეულია, ეს უკვე ბედნიერებაა!

***ქალბატონო მარინა, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

–უახლოეს მომავალში ვაპირებ ახალ სპქტაკლზე მუშაობას. მონაწილეობის მიღების მსურველი ბევრია.

***საბავშვო თეატრის შესახებ...***

–ბავშვთა თეატრის დაარსების იდეა მომივიდა მაშინ, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა და თეატრის დაფინანსებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო... სცენა მენატრებოდა ძალიან... გადავწყვიტე ბავშვებთან მემუშავა... სპექტაკლის დაფინანსებაში დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელს ბატონ თემურ გერგაიას. პრემიერამ ბრწყინვალედ ჩაიარა... ეს დაუვიწყარი დრო იყო ჩემს ცხოვრებაში... შემდეგ იყო დიდი პაუზა... დრო გადიოდა... მუნიციპალიტეტში საბავშვო სპექტაკლი არავის ახსოვდა... ვიდრე... დღეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესდა ბავშვთა თეატრალური დასით და მისი შემდგომი განვითარებისათვის თანხები გამოყო, რისთვისაც მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას, კულტურის სამსახურს, განათლების რესურს ცენტრს, სკოლის დირექციას და პედაგოგებს აქტიური მხარდაჭერისათვის... ეს უკვე მეხუთე სპექტაკლია ხობის ბავშვთა თეატრის სცენაზე. ვისურვებდი, რომ, არ მოჰკლებოდეთ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მზრუნველი ხელი და მაყურებლის მხურვალე ოვაციები პატარა მსახიობებს.

***თქვენ საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ თეატრი სინთეზური ხელოვნებაა... ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თქვენს გვერდით იღწვიან,მაგრამ კულისებში რჩებიან?***

–მართლაც, რომ არა მათი დიდი სიყვარული საქმისადმი, ძალიან გამიჭირდებოდა. თეატრის საუკეთესო ძმა და მეგობარი, უნიჭიერესი ხელოვანი, მხატვარი ემილ გეგენავა, ირაკლი შონია, ნუგზარ ზარანდია, გოდერძი გახარია, ბესო გაბრავა, ცირა ხურცია, ვანია შეროზია, ბიძინა ტყებუჩავა. მადლობა ყველა იმ ადამიანებს, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა სპექტაკლის შექმნაში.

***შეკითხვა, რომელზეც გსურდათ პასუხი გაგეცათ, მაგრამ მე არ დაგისვით...***

–კარგით, ჟურნალისტის როლი ჯერ არ მითამაშნია, ამ ამპლუაშიც მოვსინჯავ თავს...

მადლობა თქვენ, რომ დაინტერესდი ჩვენი შემოქმედებით.

**ესაუბრა**
**ნინო გერგაია.**

# „ახალგაზრდული იდეა“– წარმატებული ნაბიჯები

***ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში ჩატარდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის „ახალგაზრდული იდეის“ წარმომადგენელთა კონფერენცია. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების შესახებ. ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე „ახალგაზრდული იდეის“ ერთ-ერთ აქტიურ წევრს, თორსის საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლე ნინო კვაშილავას.***

–არასამთავრობო ორგანიზაცია „YOUTH BANK“-ს, მიკრო გრანტებით აფინანსებს ევროპის ფონდი. ეს იდეა ხობის მუნიციპალიტეტში 2011 წლიდან ფუნქციონირებს, რომლის იდეის მიზანი იყო ახალგაზრდების გააქტიურება და გარკვეულ დონეზე მათი დახმარებით სიახლეებს. რის ფარგლებშიც გვიწევს შემეცნებით ტრენინგებზე დასწრება, როგორიცაა: ტრენინგი გარემოს დაცვაზე, სურსათის უვნებლობაზე, სოციალურ მეწარმეობაზე, პროექტების წერაზე, გრანტების ადმინისტრირებაზე და ა.შ. ამ ტრენინგებს ატარებენ, როგორც ევროპის ფონდის ტრენერები, აგრეთვე, სხვადასხვა კონკრეტულ საკითხზე და თემაზე კვალიფიცირებული ადამიანები.




ხობის „ახალგაზრდული იდეის“ წევრებმა მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხობის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სხვადასხვა პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრა.

2011 წლიდან დღემდე „ახალგაზრდულმა იდეამ“ ევროპის ფონდის დახმარებით დააფინანსა ორმოცამდე პროექტი, რომლის თითო პროექტის საგრანტო ბიუჯეტი გახლდათ 800 ლარი. აგრეთვე, ხობის ახალგაზრდული იდეა 25 კომიტეტიდან 5 საუკეთესო კომიტეტად იქნა მიჩნეული და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. ერთ-ერთი გაცვლითი პროგრამა იყო სომხეთში 2014 წელს, სადაც საუკეთესო 5 კომიტეტიდან, მათ შორის ხობიდანაც, ორი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. ამა წლის ზაფხულში დაგეგმილია გაცვლითი პროგრამა ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სადაც ხობის „ახალგაზრდული იდეა“ ისევ მონაწილეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ იდეას ევროპის ფონდის დაფინანსების გარეშე ხობში ჩატარებული აქვს სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, გაკეთდა „ახალგაზრდული იდეის“ მშვიდობის სკვერი“, გადავიღეთ ვიდეო ნარკომანიის წინააღმდეგ, ჩავატარეთ აქცია „გავაზიაროთ პოზიტივი“, დავარიგეთ საინფრმაციო ბროშურები სურსათის უვნებლობაზე და აგრეთვე ვიყავით პარლამენტში, რის განხორციელებაშიც ძალიან დაგვეხმარა განათლების რესურსცენტრი, აგრეთვე, რესურს ცენტრის დახმარებით, „ახალგაზრდული იდეის“ წევრებმა ხობის მუნიციპალიტეტის 26 სკოლის მოსწავლეს ჩავუტარეთ ტრენინგი პროექტების მომზადებაზე. ამ მიმართულებით გადავამზადეთ 300-ზე მეტი ახალგაზრდა.

ევროპის ფონდი, ყოველწლიურად გვთავაზობს „ახალგაზდული იდეის“ წევრებს სხვადასხვა საინტერესო მცირე დარბაზში ჩავატარეთ კონფერენცია, დამსწრე საზოგადოებას გავაცანით ახალგაზრდული იდეის პრინციპები, სამომავლო გეგმები და მოვუყევით უკვე ჩატარებულ ღონისძიებებზე და წინა საგრანტო ციკლებში დაფინანსებილ პროექტებზე

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდული იდეის წევრებმა, საზეიმო ვითარებაში მიკრო გრანტები გადავეცით 5 პრიორიტეტულ პროექტს. ამ საგარანტიო ციკლში ხობის მუნიციპალიტეტიდან სულ 25 საპროექტო განაცხადი მივიღეთ და სხვადახვა კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, სწორედ ეს ხუთი პროექტი შეირჩა დასაფინანსებლად. ესენია:

1) პირველი მაისის საჯარო სკოლა–„მომავალი ჩვენია“–668.50 ლარი,

2) ახალი ხიბულის საჯარო სკოლა–„განვაახლოთ ბიბლიოთეკა“–700 ლარი,

3) ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა–„ნათელი მომავალი“–760 ლარი,

4) ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა–„ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების სტილით“–792 ლარი,

5) ხობის №1 საჯარო სკოლა–„კინობიბლიოთეკა“–310 ლარი.–აღნიშნა ნინო კვაშილავამ.

ხობის ახალგაზრდული იდეის წევრები სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ იგივე პასუხისმგებლობითა და შრომისმოყვარეობით მოვეკიდოთ იდეის სრულად და ნაყოფიერად განხორციელებას. ასევე, მეტი საინტერესო აქტივობების ჩატარებას და რეალური პრობლემების აღმოფხვრას გარკვეულ დონეზე.

# ენა დედაა ერისა!



დედაენის ჯადოსნური ძარღვი, ერთ მხრივ, ჩვენ გვაერთიანებს შორეულ წინაპრებთან, მეორეს მხრივ კი შთამომავლებთან. ახალ-ახალი თაობები მოდიან და მიდიან, მაგრამ მათი აზროვნების კვალი წარუშლელად აღიბეჭდება „დედაენაში“ და საუკუნოდ რჩება შთამომავლობას. ამის წყალობით დედაენაში შეიძლება ამოვიკითხოთ, წინა თაობათა ბედი თუ უბედობა, სიხარული თუ მწუხარება. სიყვარული თუ სიძულვილი...

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიული ქარტეხილების გზაზე და მოიტანა დღემდე,როგორც ქართველი ერის დიდების,სულიერი სიწმინდისა და სიმტკიცის სიმბოლო.

დედაენა ქართველი კაცის უძვირფასესი საუნჯეა, რომელიც ერთ მთლიან სისტემად არის ჩამოყალიბებული ხალხის აზრი, შემოქმედებითი ძალა და სულიერი ცხოვრების ისტორია. დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავდა: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცული არის ენით“.

დიდმა იაკობ გოგებაშვილმა კი დედაენას „ბურჯი ცხოვრებისა“ უწოდა, მასვე ეკუთვნის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული“.დედაენის უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული, დედაენის დღისადმი მიძღვნილი „ფლეშმობი“, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ქალაქის ცენტრში, კულტურის სახლის წინ გამართეს. ისმოდა მუსიკის საოცარი ჰანგები, „ანბანის“ ფორმაში გამოწყობილი პატარები დიდი სიამაყით გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულს დედაენისადმი.

დაე, თითოეული ქართველის გულში ღვიოდეს ცეცხლი უდიდესი სიყვარულისა დედაენისადმი, რომ კვლავ ომახიანად მღეროდეს ქართველი: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“.

# კიდევ ერთი უჩვეულო დღე...



საბიბლიოთეკო ცხოვრება მხოლოდ წიგნების კითხვით არ შემოიფარგლება, შემოქმედებითი საქმიანობა და ლიტერატურული საღამოები ცოდნის შეძენის, გამოცდილების დაგროვების, განუყოფელი ნაწილია. ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების მძლავრ საშუალებას იძლევა. აქ მოსული ადამიანები აღრმავებენ ცოდნას, იღებენ ახალ ინფორმაციას, ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აქ გამართული ლიტერატურული საღამოები კი, მომავალი თაობის მხატვრული აღზრდის და ემოციური განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს ეს არის მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობის წარმოჩენის შესანიშნავი საშუალებაც. სწორედ ასეთ საღამოებზე რამდენი მოსწავლის ნიჭი გაელვებულა. ვიღაცას საუცხოოდ უმღერია, ვიღაცას მომხიბვლელი ლექსი წაუკითხავს და არტისტული გარდასახვის საოცარი უნარი გამოუვლენია.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს, ჩვენი მუნიციპალიტეტის თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკის მრავალწლიანი ისტორია. დიდი სიამაყით ვისაუბრებ კიდევ ერთ უჩვეულო დღეზე, რომელიც „დედაენას“ ეძღვნებოდა. „არ არსებობს ლიტერატურა ენის და ანბანის გარეშე“, „ქრთული ენა ისევე, როგორც ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში“, „ენა ერისთვის არის ის, რაც ცალკეული ადამიანისათვის სახლი, ოჯახი, კერა“.

„ქართული მარტო ენაა?!<br>
ქართული ქართველთ რწმენაა!<br>
ღმერთია! ბედისწერაა!<br>
ზღვა როა ამოდენაა!“

ერთიანი საქართველოს შექმნაში წამყვან ფაქტორებს წარმოადგენდნენ ენა, რელიგია და სახელმწიფო.

„ქართული ენა ის ენაა, რომელსაც არასდროს არავისთვის უღალატნია და მისგან მოგვრილი იმედი ველის ყაყაჩოსავით ელავს დედამიწაზე“. „ო, ენავ ჩემო“–ჟღერდა მუსიკა.

აქტივობათა ციკლის საუკეთესო ფინალი იყო. აზარტში შესული მოსწავლეები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლექსების წაკითხვას. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო მათი სახელები: საბა სარჩიმელია საერო სკოლა „არეას“ მოსწავლე. ანრი შენგელია, (წერს საუკეთესო ლექსებს) გიორგი ბერაია, ბექა ჩიტაია. მათ სულგანაბული უსმენდა, იყო ნამდვილი სალექსო მეტყველება და ოვაცია. დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდებით, მათი მშობლებით, მოწვეული სტუმრებით.

ბიბლიოთეკის თითოეულმა წევრმა, ერთმანეთზე უკეთესი თაობა წარმოადგინა. ვინც ღრმად ჩაუკვირდება მონაწილე ბავშვებს კარგად გაცხადდა, რომ საღამოს მთავარი შედეგი უფროსებისა და მოზარდების ერთიანი შემოქმედებითი ჯაჭვის გაბმაა.

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა და არავის ეთმობოდა, სურვილი საღამოს შეწყვეტისა.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, ბავშვებს ალმოჩენა უწოდა საჩუქრად ბიბლიოთეკის სახელით, ხატები გადასცა და სამომავლოდ ბევრ საინტერესო პროექტებზე ისაუბრა.

ბატონმა ბეჟან ნადარაიამ აღფრთოვანება ვერ დაფარა და მოსწავლეებს და დარბაზში მყოფ სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ მხოლოდ ღმრთისადმი მადლიერება გვმართებს და გულმოდგინება იმისათვის, რომ კურთხეული და ყოველმხრივ შემკული ქართული ისეთივე თავდადებული პატრონობითა და მზრუნველობით შემოვუნახოთ მომავალ თაობებს, როგორითაც ის ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს.“

**გვერდი მოამზადა ნაირა ბერაიამ**

# საგაზაფხულო სამუშაოები ძალაში შევიდა . . .

## პირველმაისელთა მადლიერება



პირველი მაისი ერთ-ერთი დიდი და გამორჩეული სოფელია ხობის მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობენ შრომისმოყვარე და ღირსეული ადამიანები.

სოფელში თითქმის ყველა კომლს გააჩნია პრივატიზებული მიწის ნაკვეთი.

ახალი ხელისუფლების მოსვლამდე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის ნახევარი გამოუყენებელი იყო, არ იხვნებოდა და არ ითესებოდა, გლეხკაცს აღარ ჰქონდა ამის საშუალება. არსებული მიწის ნაკვეთების უმრავლესობა შემოკავების გარეშე იყო დარჩენილი.




მეამაყება ის, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სოფელი სოფელს დაემსგავსა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, შემოკავებულიქნა წლობით შემოუკავებელი მიწის ფართობები, რამაც გლეხებს საშუალება მისცა ისევ ამ ხელისუფლების დახმარებით, დაემუშავებინა ეს მიწები და უხვი მოსავალი მიეღო.

საქართველო ხომ მიწათმოქმედების ქვეყანაა, სადაც სახელოვანი შრომისმოყვარე მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობს, ამიტომაც უწოდეს ბერძნებმა ჩვენს ქვეყანას „გეორგია“.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების დროულად და ხარისხიანად შესრულებაში თავს არ ზოგავს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონი მარინა ლაგვილავა, ამიტომაც მას მთელი სოფელი ემადლიერება.

პირველ მაისში თითქმის დასრულებულია ხვნის სამუშოები, ამ დიდი საქმის დროულად და ხარისხიანად შესრულების საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანა აბაშის სერვისცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ, რომელმაც სოფელში გამოაგზავნა კახელ მექანიზატორთა 10 კაციანი ბრიგადა, მენეჯერ კახი კაპანაძის ხელმძღვანელობით, სწორედ ამაზეა ნათქვამი, „ძმა ძმისთვისაო“.

კახელმა ძმებმა, მეგობრობის ხელი გამოგვიწოდეს, რათა სასოფლო სამეურნეო სამუშაოები დროულად და ხარისხიანად შესრულებულიყო.

პირველმაისელებმა მათ ყველა საჭირო პირობა შეუქმნეს, რათა ისე ეგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ ოჯახში.

მადლობის მეტი რა გვეთქმის მამუკა კვიკვინიას და რატი თოდუას მიმართ, რომელთა ოჯახებში ცხოვრობდნენ ეს ბიჭები.

ასევე მადლობას იმსახურებენ ხობის პოლიციის განყოფილების მუშაკები, რომლებიც იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

კახელი მექანიზატორების მიერ უმოკლეს დროში მოიხნა 170 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

სოფელ პირველი მაისის მოსახლეობის სახელით დიდ მადლობას ვუხდით მათ თანადგომის, ოპერატიული და ორგანიზებული მუშაობისთვის.

***გიგლა კვიკვინია***

## შუა ხორგა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში სახნავი ბარათის მიხედვით, სულ მოსახნავია 341.1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მიმდინარე სამუშაოებს ამხანაგობა „სოფლტექსერვისი“ ასრულებს.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ხორციელდება შიდა გზების მოხრეშვა და საყანე ტერიტორიასთან მისასვლელი ხიდ-ბოგირის შეკეთება.

## ბია

გაზაფხული ძალაში შევიდა. უამინდობა კარგმა დარებმა შეცვალა. საყანე ფართობებსა და ველ-მინდვრებში მომრავლდა ტექნიკა. დილაადრიანად მიეშურება გლეხი საყანე ფართობებში, რათა მექანიზატორმა დროულად მოხნას კუთვნილი მიწის ფართობი და თესვაც დროულად დაასრულოს.

მან კარგად იცის მიწის ფასი და ისიც, რომ თუ დროულად, აგროვადების დაცვით დათესავ, კარგი მოსავალიც გარანტირებულია.

კარგად მუშაობენ აბაშელი მექანიზატორები ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში (მენეჯერი დათო პერტაია), მათ ყოველდღიურ სამუშაოს შესრულებას ამოწმებს და მენაკვეთეებს მხრში უდგას გამგებლის წარმომადგენელი ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში დათო ღვინჯილია.

ამჟამად მოხნულია 147 ჰექტარი მიწის ფართობი.

ხვნის პარალელურად დაიწყო თესვაც. უკვე 10 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი დაითესა.

ხვნა და თესვა პარალელურად მიმდინარეობს და აგროვადებში დამთავრდება.

## ხეთა



დღეს ეყრება საფუძველი მომავალ მოსავალს. ეს კი წარმატების საფუძველია. თუ როგორ ხორციელდება ეს ხეთაში, გამგებლის წარმოამდგენელს, **შავლეგ ბუკიას** შევეხმიანეთ:

–ჩვენთან კახელი მექანიზატორები (მენეჯერი კახი კაპანაძე) შრომობენ. ბარაქალა მათ სიბეჯითეს. დილიდაან საღამომდე მუშაობენ და რაც მთავარია, ხარისხიანად. ტექნიკა გამართულია და თავად ტრაქტორებისა და მენაკვეთეთა ურთიერთობა შეხმატკბილებულია. მეც მათ გვერდით ვარ. ასე, რომ ხვნასთან ერთად თესვაც დავიწყეთ.

რაც მთავარია ხალხი ემადლიერება მთავრობას სასოფლო სამეურნეო ხვნის ბარათების–„ვაუჩერების“ გამო და ტრაქტორისტების მიმართაც დადებით ემოციებს გამოხატავენ.

ხეთაში მოსახნავია 383 ჰექტარი საყანე ფართობი, მოხნულია 250 ჰექტარი. ხვნასთან ერთად თესვასაც შევუდექით. პირველ დღეს 10 ჰექტარი დაითესა. თესვა ტემპიანად მიმდინარეობს. დღეს მექანიზატორებს ტრაქტორისტი გოჩა ნაჭყებიაც შეემატა. ასე, რომ ხვნა და თესვა ეტაპობრივად მიმდინარეობს,–გვითხრა შავლეგ ბუკიამ.

## ახალი ხიბულა

მომავალ მოსავალზე ზრუნვა აქტიურად დაიწყეს ახალი ხიბულის (გამგებლის წარმომადგენელი რინელ ადამია) ადმინისტრაციულ ერთეულში.

სოფლის საყანე ფართობებში დილიდან საღამომდე შრომობს ინდმეწარმე მამუკა ტყებუჩავას ბრიგადის მექანიზატორები. მენაკვეთეები და მექანიზატორები ცდილობენ მიწას დროულად მიაბარონ სიმინდის მარცვალი.

სოფლის თავკაცი ცდილობს არავინ დარჩეს დაუმუშავებელი და დაუთესავი ფართობების გარეშე. ამ მოსახნავ ფართობებზე მექანიზატორთა მონდომებით ხნავენ და თესავენ.

მოხნულია 330 ჰექტარი. მოსახნავია სულ 356 ჰექტარი, დარჩენილი ფართობის ხვნას ამ დღეებში დაასრულებენ.

ხვნასთან ერთად თესვასაც შეუდგნენ ახალხიბულელები, დათესილია 10 ჰექტარზე მეტი.

თესვაც ტემპიანად გაგრძელდება, რაც კარგი მოსავლის გარანტი გახდება.

**მოამზადა ნანი კილასონიამ**

# ს პ ო რ ტ ი



## საუკეთესოები დაჯილდოვდნენ

ქ. ხობში, ნოდარ შენგელიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ჭაბუკის ანრი ჯგერენაიას სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში.

შეჯიბრებაში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2004–2006 წლებში დაბადებულთა გუნდები მონაწილეობდნენ: გუნდები კენჭისყრის შედეგად ორ ჯგუფად გაიყვნენ: A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხობის №1, პირველი მაისის, ბიის, ახალი სოფლის, საჯიჯაოსა და ჭალადიდის საჯარო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ ხობის №2, ხეთის, შუა ხორგის, ქვემო ქვალონის, თორსისა და ნოჯხევის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადადიოდნენ. საინტერესო შეხვედრების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: ხობი №1–შუა ხორგა, ხობი №2–ჭალადიდი. ორივე შეხვედრაში აშკარა იყო ხობის №1 და ხობის №2 საჯარო სკოლების უპირატესობა. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

12 აპრილს გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის მატჩში შუახორგელებმა დაამარცხეს ჭალადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მესამე ადგილი, თასი და სიგელი მოიპოვეს.

ფინალური შეხვედრა ხობის №1 და ხობის №2 საჯარო სკოლებს შორის წარიმართა დაძაბულად, ორივე გუნდი აქტიურობდა, მაგრამ ანგარიში ჯერ ოჩიგავამ გახსნა (№2 საჯარო სკოლა), შემდეგ კი ლატარიამ მეორე გოლის გატანა შეძლო და მატჩიც ასე დამთავრდა 2:0 ხობის №2 საჯარო სკოლის სასარგებლოდ.

მეორე ადგილი ერგო ხობის №1 საჯარო სკოლას, რომელსაც გადაეცა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ანრი ჯგერენაიას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული გახდა ხობის №2 საჯარო სკოლა, რომელიც დაჯილდოვდა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი სიგელითა და თასით.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში.

საუკეთესო მეკარე–ლუკა ლატარია (ხობი №2 საჯარო სკოლა);

საუკეთესო მცველი–თემურ ალანია (ხობი №1 საჯარო სკოლა);

საუკერთესო ნახევარმცველი–გიორგი ლომაია (ჭალადიდის საჯარო სკოლა);

საუკეთესო თავდამსხმელი–ლუკა დარჯანია (ჭალადიდის საჯარო სკოლა);

საუკეთესო ბომბარდირი–თორნიკე კალანდია (ხობის №1 საჯარო სკოლა);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს–ლუკა ქობალია (ხობის №1 საჯარო სკოლა);

ინდმეწარმე კოტე მხეიძის მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა ხობის №2 საჯარო სკოლის პერსპექტიულ ფეხბურთელს ლუკა ბერაიას.

გულშემატკივარმა დავით გერგაიამ დააწესა პრიზი „ტურნირის გულშემატკივართა სიმპათია“, რომელიც გადაეცა დავით ქვარცხავას (ხობის №2 საჯარო სკოლა).

ანრის ბიძა რომან ჯგერენაიამ დააწესა პრიზი, რომელიც გადაეცა ტექნიკურ ფეხბურთელს ლევან არღვლიანს (შუა ხორგის საჯარო სკოლა).

ანრის კლასელებმა ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დააწესეს პრიზი, რომელიც გადაეცა საუკეთესო მეკარეს–ლუკა ლატარიას (ხობის №2 საჯარო სკოლა).

ხობის „კოლხეთის“ მეკარემ ზაზა გელაშვილმა დააწესა პრიზები, რომლებიც გადაეცათ მეკარეებს მირზა გოგოძეს (ჭალადიდის საჯარო სკოლა) და გიორგი ჩიტაიას (ხობის №1 საჯარო სკოლა).

დაჯილდოებას უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია. საკრებულოს წევრები ლევან ქავთარაძე, ტარიელ ალექსანდრია, მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნანა ბუკია, ანრის ბიძა რომან ჯგერენაია, „კოლხეთის“ დირექტორი კობა კობახიძე და სხვები.

დაჯილდოებისას დამსწრე საზოგადოებამ ტურნირის მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ანრი ჯგერენაიას ხსოვნას, შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მიერ.

## ტრადიციული ტურნირი



14-19 აპრილს პირველ ხორგაში გოგა ბერაიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა თვით გოგა ბერაიას სახელობის ტრადიციული ტურნირი მინი-ფეხბურთში. შეჯიბრებაში 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას. A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხეთის, შუა ხორგის, ხობის ცენტრისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დასავლეთ ოპერატიული სარდლობის სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელთა გუნდები B ჯგუფში გამოდიოდნენ ხობის ჭყონდიდელის უბნის ქარიატის, ხობის ჭალეს უბნისა და პირველი ხორგის გუნდები. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ხობის ცენტრი-პირველი ხორგა, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა-ჭყონდიდელი. ორივე შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხობის ცენტრისა და სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელებმა. 19 აპრილს გოგას დაბადების დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. მატჩი მესამე ადგილისათვის და ფინალი. მესამე ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ნახევარფინალში წაგებული ჭყონდიდელისა და პირველი ხორგის ფეხბურთველთა გუნდები. ჭყონდიდელებმა დაამარცხეს მეტოქე და დაიკავეს მესამე ადგილი, რომლებიც დაჯილდოვდნენ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით. ფინალური შეხვედრა სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადისდა ხობის ცენტრის გუნდებს შორის წარიმართა დაძაბულად. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1:1. პენალტების სერიაში კი უძლიერესი ხობელები აღმოჩნდნენ და მატჩი მათ სასარგერბლოდ დამთავრდა 4:3. ამრიგად მეორე ადგილზე გავიდა სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდნენ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით. ტურნირის ჩემპიონი და გოგა ბერაიას სახელობის თასის მფლობელი გახდა ხობის ცენტრის გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდა გოგას სახელობის თასით და სიგელით.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. საუკეთესო მეკარე გახდა ლაშა ჩიტაია (სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა), საუკეთესო მცველი გახდა პაატა ბუკია (ხობის ცენტრი), საუკეთესო ნახევარ მცველია ბაკურ ნანეიშვილი (სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა), საუკეთესო თავდამსხმელი ირაკლი წეველიძე (ხობის ცენტრი), საუკეთესო ბომბარდირი გიგა კაცაძე (ჭყონდიდელი), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა ლევან ქაშიბაძე (ჭყონდიდელი). გამარჯვებულები და საუკეთესოები დააჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ, საკრებულოს წევრებმა ლევან ქავთარაძემ, ტარიელ ალექსანდრიამ, როსტევან გვარამიამ. მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა პირველ ხორგაში კობა ლეფსაიამ. ვიცე პოლკოვნიკმა გიორგი ბლიაძემ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა ნანა ბუკიამ. საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის „დირექტორმა კობა კობახიძემ.

დაჯილდოების შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა ყვავილებით შეამკეს გოგას საფლავი და აღნიშნეს დაბადების დღე.

**მასალები მოგვაწოდა ლევან ლემონჯავამ.**

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით

# აუქციონს

## ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

**დანართი №1**

| № | დასახელება | სავარაუდო წონა კგ. | სავარაუდო ღირებულება (ლარი) | „ბ“ 10% | „ბიჯი“ 10% | ბილეთის საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯართი | 1400 | 140 | 14 | 14 | 20 |

**დანართი №2**

**სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონება**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრაციული შენობა, ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა N185 | IV სართული | იჯარა | 30.68 | 2055,56 | 616 | 51 | 5,1 | 5,1 | 20 |
| | | | 19.25 | 1289,75 | 387 | 32 | 3,2 | 3,2 | 20 |
| | | | 18.9 | 1266,30 | 381 | 32,0 | 3,2 | 3,2 | 20 |
| | | | 18.9 | 1266,30 | 381 | 32,0 | 3 | 3 | 20 |
| | | | 9.1 | 609,70 | 183 | 15 | 1,50 | 1,5 | 20 |
| | | | 6.6 | 442,20 | 132 | 11 | 1,10 | 1,10 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 11 მაისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ),„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში. საკონტაქტო პირი–ლამზირა თოდუა.ტელ-599-85-60-91.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# თვალდასარჩენი პატიოსნებით

## (ეთერ კვიკვინიას უკვდავსაყოფად)



სულ ახლახან წავიკითხე ცნობილი რუსი მწერლისა და პუბლიცისტის დიმიტრი მერეჟოვსკის 90-იან წლებში დაწერილი წიგნი „ლევ ტოლსტოი და დოსტოევსკი“, განსაკუთრებით მომხიბლა „ტანჯული გენიის“ ხატსახის გენიალურად წარმოჩენამ, სადაც წინა პლანზე წამოწეულია პიროვნების ზეღვთიური შემოქმედებითი შესაძლებლობანი. არ ვიცი რატომ (თუმცა ისე და უბრალოდ არაფერი რომ არ ხდება ამაში აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ), ამ დიდებული წიგნის დასრულებისას ცნობიერებიდან ამომიტივტივდა ჩემი მასწავლებლის, აწ განსვენებული ეთერ კვიკვინიას სახე. სულიერი კულტურის სფეროში ადამიანის ღირსების მნიშვნელობა მისი ასკეტური ხასიათიდან გამომდინარე, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საერთოდ აზროვნებისა და ურთიერთობის სხვა ტალღაზე გადაყავხარ. მითუფრო, ეთერ კვიკვინიას შესაძლებლობა, როგორც პედაგოგისა და პროფესიონალისა, გონებისა და სინდისის ცნებებზე იყო დამყარებული. ცხოვრების საზრისი კი, მხოლოდ და მხოლოდ გონებიდან გამომდინარეობდა და ამიტომაც ჩანდა მკაცრი და მიუთბილებელი. თუმცაღა, ამ წამისმიერი შეხედულების მიღმა იდგა ერთი ჩვეულებრივი, მშობლიური სითბოთი მოპირთავებული, კეთილი და მოსიყვარულე ქალბატონი, ვისი პირადი ცხოვრებისეული ბედნიერება ტარიგად შეწირვოდა სხვათა ბედნიერებას, პროფესიულ ამაღლებასა და სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას. აინშტაინი წერდა: „ყველაზე კარგი საქმეა შეშის ჩეხვა, რაც გააკეთე შენ თვალწინაა.“–ამ სიტყვების პერიფრაზით ჩვენი დიდი მეცნიერი ილია ვეკუა ბრძანებდა: „ყველაზე ზუსტი და გულმისანდო მეცნიერება მათემატიკაა, შენს თვალწინ დაჩეხილი შეშის დარად ლაგდებიან რამოდენიმე უცნობიან განტოლებათა ლეგიონები, შენ კი გამარჯვებული სარდალივით დაჰყურებ მათ!“–პირველად ეს რომ წავიკითხე, ეთერი მასწავლებელი და კვადრატული განტოლება გამახსენდა, ნულოვანი ტოლობით, დისკრიმინანტის, იქს პირველისა და იქს მეორის მნიშვნელობით. ასევე დეკარტის კოორდინატთა სისტემა პლუს-მინუსური განფენილობებით. მისი სუსტი, გამხდარი და თლილი თითების ოსტატური მოძრაობა დაფაზე, ცარცით გამოქანდაკებული ციფრები, გეომეტრიული ფიგურები და ჩვეული მკაცრი დამოკიდებულება მოწაფეებისადმი, რომლებიც 45 წუთის თვალსწრაფისად გასვლას ყველა წმინდანს ერთიანად ვევედრებოდით იმის უფიქრველად, რომ ოდესღაც ეს არხეინად გახარჯული წუთები სანატრელად იქცეოდნენ. რაბითრაანთ თაგორს ერთი ასეთი ადგილი აქვს თავის ღვთაებრივ საგალობელში–„გიტანჯალი“: „მთელი სიცოცხლე იმ წუთებს ვეძებთ, დაუბრუნებელ სიზმარ-ოცნებით, რომელიც ვფლანგეთ უმწიფარ ჭკუით და სწავლის ნაცვლად ქარებს დავსდევდით...“–ასეთ რამეებზე ბავშვს ძნელად ან საერთოდ არ ეფიქრება, ეს არსებული მარადიის საწუხილეთია. მახსოვს ეთერი მასწავლებლის აფეთქება, გაგულისება, გაწიწმატება, კატეგორიული ტონი, შეუვალი სიმკაცრე თუ გაცეცხლებული ფორიაქობა, მაგრამ ყველაფერი იმდენად წრფელი იყო, სიძულვილად ვერ იკიდებდა ფეხს და პირიქით, სიყვარულად ჩვენდებოდა. ამიტომ გახლდათ ის მოწოდებით პედაგოგი, ვისთვისაც არ არსებობდნენ პრივილეგირებულნი და ნაკლებადპრივილეგირებულნი, მთავარი საზომი ცოდნა, ზრდილობა და ღვთისმოსაობა გახლდათ. ეთერ კვიკვინია ურჩებს, ზარმაცებს, მცონარებს სჯიდა, მაგრამ არავის ჩაგრავდა, იქედნურად არავის უყურებდა! ქრთამზე და ძღვენსაბოძვრებზე ხომ საუბარიც ზედმეტი იყო. ყველა მისი ნამოწაფარის წარმატებით ხარობდა და ამაყობდა, ძმისშვილების უშურველობით კეთილსურვილობდა და ძვირადმოენე, იმდენ ლოცვასა და სიყვარულს მოგამზევებდა, რალაცნაირად მაღლდებოდი და ფრთიანდებოდი. უდიდესი ბედნიერება იყო ჩემთვის, და იმედია არამარტო ჩემთვის, ქალბატონი ეთერის ხილვა ეროვნულ მოძრაობაში, საპროტესტო თუ საზეიმო აქციამიტინგებზე, როცა ეს რაფინირებული და ძნელად გასაკვირველი ქალბატონი ამაყად იდგა თანამოაზრეთა გვერდით და წვლილი შეჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა თუ მისი შენარჩუნების საშვილიშვილო საქმეში. ის გახლდათ სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარულით მოპირთავებული ადამიანი, ვისი ღირსების ხერხემალიც მამულიშვილობაზე გადიოდა. „ქართველი ერის სულიერ მისიაზე“: ზვიადისეული გონმაღლობით მოფიქრალი და მომეტყველე, კეთილად მისაბაძი გახლდათ მრავალთათვის... ბოლოს სკოლის დამთავრების საიუბილეო დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე ვნახე. მახსოვრობის სისუსტე მომძლავრებოდა და ადამიანების, ანუ ჩვენი, მისი ყოფილი მოწაფეების ცნობა უჭირდა. გული მეტკინა, რაღაც ულამაზესი დაიმსხვრა ჩემს მოგონებაში, უსასოო მყოფელობამ მომიცვა არსებითად. მისი გარდაცვალება ვერ შევიტყვე! არ ვიცი ვისი ბრალითა თუ შეცდომით, მაგრამ ჩემს ცოდვებს მისი დაუტირებლობის ცოდვაც მიეტკივილა... მისმა საყვარელმა ძმისშვილმა ამიყვანა ქალბატონი ეთერის საფლავზე, ბულიწყუს ლამაზ გორაზე, ეკლესიის მნათის სამყოფლოში, საყვარელი მშობლებისა და საფიცარი ძმის გვერდით განუსვენებიათ ჩემი და ჩვენი ეთერი მასწავლებელი, ანკარა სულისა და თვალდასარჩენი სიპატიოსნის კოლხი, რომელმაც შექმნა თავისი სამყარო, განუმეორებელი „მე“, განსაზღვრა თავისი კულტურული თვითიგივება, რომლის ძალითაც, მას, როგორც დამსახურებულსა და ყოველმხრივ შემკულ პროფესიონალს პედაგოგიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უნდა განესაზღვროს. მე კი, ყოველთვის ვიტყვი: ეთერი კვიკვინია–გაპირქული სამყაროს ვიწრო კალაპოტში დინჯად, ღირსებითი სიმშვიდით მოჩურჩულე ნაკადულია, შეუმღვრელად, ყოველგვარი ზიზილ-პიპილოების გარეშე ჩამდინარებული ქართული არსობის ზღვაში!..

***ლაშა გვასალია,***
***მწერალი.***

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი!!!



ხობის სინამდვილეში არ მეგულება საშუალო ასაკის ადამიანი, ვისაც ეს ფოტო სულს არ აუფორიაქებს და ბავშვობაში არ დააბრუნებს. ხობის კოლორიტები, განათლების დარგის კორიფეები, პედაგოგთა კორპუსის გამორჩეულები: ციალა პერტაია, დავით ახალაია, აბდულ ლუკავა, ოთარ სახეიშვილი ...

რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონ დინა ჯანჯღავას და ბატონ ირაკლი შონიას ფოტოს მოწოდებისთვის.

2 მაისი ხსოვნის დღეა... გავიხსენოთ და ვიამაყოთ, რომ ასეთი ადამიანების მოსწავლეები, მეგობრები და თუნდაც ნაცნობები ვიყავით.

ნათელი მათ ხსოვნას.

***მერი ლაგვილავა.***

## ვალტერ ბერაია



რამდენი ხანი ვწერდი ამ რამოდენიმე წინადადებას... მინდოდა, თქვენთვის სათქმელი, ცრემლი, ტკივილი, სიყვარული და მონატრება ჩამეტია, რომელიც წვეთ-წვეთად წლებია მიგროვდება გულში, მაგრამ ვფიქრობ, მაინც ვერ შევძელი...

ბატონო ვალტერ, ჩემო განსაკუთრებულო ახლობელო და უფროსო მეგობარო, მოწიწებითა და დიდი მოკრძალებით უნდა შეგეხმიანოთ და სამოთხეში მოგილოცოთ დაბადების დღე და აღდგომა...

თქვენს საფლავს ვესტუმრე... ვიდექი და ვფიქრობდი... დიდი ხანია უთქვენოდ დაქვრივებულ ქართულ სუფრას ისეთ ლაზათი არა აქვს, როგორც მაშინ, როცა თქვენს სახლში ვიკრიბებოდით. თქვენი თამადობა, ინტელექტი, კაცურ-კაცობა, ყველასადმი სიყვარული, ავსებდა და ალამაზებდა იქაურობას. თქვენ ჩაუყარეთ ბერაიების დიდ „იმპერიას“ საფუძველი... ყველას ხელი გაუწოდეთ და გზაზე დააყენეთ. აღარაფერს ვიტყვი თქვენს პიროვნებაზე. იმდენი სასიკეთო საქმეები გაქვთ გაკეთებული ხალხისთვის, სოფლისთვის, ამიტომ, შემთხვევით არ იყო ხალხმა ხობის და ხორგის სული და გული, რომ გიწოდათ.

ხორგა თქვენთვის სალოცავი და სათაყვანებელი სავანე იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხორგაში ბედნიერად იცხოვრეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნათქვამია, ადამიანის ერთგვარი სავიზიტო ბარათი ოჯახიაო. თქვენი ოჯახი კი ამ მხრივ გამორჩეულია. (მთელი ბავშვობა აქ მაქვს გატარებული) უთქვენოდ მართალია სევდიანი, მაგრამ კვლავ ყველასთვის სიკეთის და თანადგომის ნიმუშია. თქვენს მეუღლეს, ულამაზეს ქალბატონს ლარისა ბოხუას ხომ ვერავინ და ვერაფერი შეედრება, ის შეუდარებელი პიროვნებაა.

მე კი ქედს ვხრი თქვენი სულის წინაშე, თქვენთან გატარებული წლების გამო, წლების, რომელიც არასოდეს განმეორდება.

**ნაირა ბერაია**

სულთათანა

# სევდიანი მოსაგონარი

წელს, გაზაფხულზე ვეწვიეთ ხობს, ოცდაორი წლის უნახავ ჩემს მშობლიურ და მუდამ სანატრელ ალაგს... სევდიანი იყო ჩვენი შეხვედრა ხობთან და ხობელებთან, ეს იყო ჩვენი დედიკოს ბოლო გაზაფხული... ცივი და სუსხიანი, და დედასთან გამოთხოვების დრო...

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ზამთარი, ზრდასრულ ასაკში კი შემოდგომას ვარჩევ წელიწადის სხვა დროს...შემოდგომა მშვიდია და დინჯი, როგორც ასაკოვანი ადამიანი, მრავალფეროვანია და უხვი, როგორც ჩვენი ცხოვრებით შეძენილი გამოცდილება: შემოდგომა ზომიერად თბილია და გრილიც, როგორც ჩვენი გულები სიყვარულის თუ არასასიამოვნო მოვლენების მიმართ. შემოდგომა შემაჯამებელია ყველა იმ ჩვენი ცდისა, რომლითაც წელიწადი დავიწყეთ და შემდგომ სეზონებში გავაგრძელეთ... ხშირად დავფიქრებულვარ, რატომ გვიყვარდა ზამთარი ბავშვობაში? ალბათ იმიტომ, რომ ზამთარში, ჩვენი დიდი ოჯახი ტრადიციულად ერთად იკრიბებოდა გრძელი ღამეების ერთად გასატარებლად... მაშინ, თითქოს ჯადოსნურ საოცრებათა სკივრი იხსნებოდა, საიდანაც ჩვენი ლამაზი მოგზაურობა იწყებოდა...

ფაჩულიების ოჯახი, წარმოდგენილი ჩვენი დიდი ბებია-პაპათი, ბაბუათი, მამით, ბიძით და მამიდათი გამოირჩეოდა მაღალი მუსიკალური სმენით და აქედან გამომდინარე, ისინი არაჩვეულებრივად მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ზედმიწევნით ფლობდნენ რუსულ და ქართულ ენებს. ოჯახში შემოსულმა რძლებმაც, მზიამ და მერიმ საუცხოოდ აუღეს ალღო აქ დამკვიდრებულ ტრადიციებს და მალე, ისინი არა თუ ჩინებული მსმენელები, არამედ აქტიური მონაწილეები გახდნენ ფაჩულიების ფოლკლორული ლტოლვისა. ჩემი ცხოვრების გადმოსახედიდან საკმაოდ კარგად ჩანან ის მრავალმხრივი კეთილშობილური თვისებებით დაჯილდოებული ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი არაორდინალურობებით... დედაჩემი იყო საოცრად ლამაზი ქალბატონი, არაჩვეულებრივი, დახვეწილი გემოვნებით, შეუდარებელი სიკოხტავით და სისუფთავით, მისი გაფენილი თეთრეულის სარეცხი იყო სითეთრის მწვერვალზე დაწერილი პეიზაჟი ... განუმეორებელს ეძახდნენ მის ფხალეულს, ხაჭაპურს თუ კუჭმაჭს... ის არაჩვეულებრივად ქარგავდა, კერავდა, ჰქონდა გასაოცარი ალღო და გუმანი, ბუნებით კი იყო ფანტასტიკურად მშვიდი, ნაზი და აუჩქარებელი, საოცრად მეგობრული და კეთილშობილური მანერების მქონე. ბავშვობაში, მამის ფრონტზე წასვლის შემდეგ, ის მამიდას წაუყვანია ცაიშში სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. მისი სილამაზე შეუმჩნეველი არც რეჟისორს დარჩენია, რომელსაც დაჟინებით მოუთხოვია ფილმში „სადაა შენი ბედნიერება მზია“ დედას გადაღება მთავარ როლში, მაგრამ მამიდამისს რეჟისორი და სხვა პირები ცივი უარით გაუსტუმრებია, ეს ჯერ ბავშვია და „სათამაშოდ“ არ სცალია, უნდა ისწავლოსო. მომდევნო წლებშიც, როცა დედა ორმოცს კარგად გადაცილებული იყო, ის მოსკოვშიც, ერთერთი ინდოელი რეჟისორის ჩანაფიქრით, რუსეთ-ინდოეთის ერთობლივ ფილმშიც უნდა გადაეღოთ, მაგრამ აქ მან თვითონ უარყო რეჟისორის ეს წინადადება.

მამა ნოდარი, მახსოვს მაღალი, ახოვანი, ლამაზი თვალებით და თმებით. ხასიათებით და ცხოვრების წესით ცნობილი როგორც პატიოსანი, ერთგული, დანმდობი. ის რაიონში ერთერთი თვალსაჩინო მოცეკვავე ყოფილა. მამას განსაკუთრებით




უყვარდა ბავშვები და ამიტომაც ჩვენი ქუჩის და ახლო სამეზობლოში მცხოვრები ყველა ბავშვი მამასთან ჰპოულობდა ბევრ საერთოს... ის მთელი სერიოზულობით და გულისყურით ეკიდებოდა ბავშვებთან დამოკიდებულებას და სრულიად ერთნაირი მონდომებით ასწავლიდა მათ ველოსიპედის თუ მანქანის ტარების წესებს, ცურვას, თევზაობას, ნადირობას... განსაკუთრებული სიამაყით ის რამდენიმე დაფაზე მათ ერთდროულად ჭადრაკს ეთამაშებოდა. მამა განთქმული იყო თავისი ნადირობის იღბლით, თევზაობიდან და ნადირობიდან არასოდეს ხელცარიელი არ დაბრუნებულა. ვფიქრობ, ფორტუნას წყალობას ალბათ იმიტომ იმკიდა, რომ ის დამჯდარ ფრინველს არასოდეს არ ესროდა, თვლიდა, რომ მონადირეს ისედაც ბევრი უპირატესობა ჰქონდა საცოდავ, უმწეო არსებასთან შედარებით, ამიტომაც პატიოსნად უბრძანებდა მონადირე ძაღლს, ჯერ ფრინველი აეფრინა და მხოლოდ აფრენილს დაუმიზნებდა თავის ორლულიანს...

მამას ოქროს ხელები ჰქონდა, ის შემოქმედებით უყურებდა ნებისმიერ, ხის თუ ლითონის ნაჭერს, რომლიდანაც შეეძლო უამრავი საჭირო ნივთი დაემზადებინა. თავისი ესკიზით მან რამდენიმე საჩარხი დაზგა დაამზადებინა, რომლებსაც იყენებდა სამუშაოდ. ახალგაზრდობაში მას ავიაკონსტრუქტორობაზე დიდხანს უოცნებია და სკოლის მოსწავლეს სამი სხვადასხვა თვითმფრინავის მოდელი შეუქმნია. ერთ-ერთი მათ შორის, საქართველოს უმაღლეს საბჭოს და განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით დაუჯილდოებიათ. ბოლო მოდელი, მამას მოსწავლეობის პერიოდში, სკოლის მუზეუმში ყოფილა გამოფენილი. სკოლას ხანძარი რომ გასჩენია, მამა ალმოდებულ შენობაში შევარდნილა, მოდელი დაუქოქავს და ფანჯრიდან აუფრენია, სამწუხაროდ, თვითმფრინავს ფრთაზე ცეცხლი მოჰკიდებია და ის ლამაზ ფრენაში დამწვარა... ყოველთვის, როცა მამა ამ ეპიზოდს გაიხსენებდა... მის თვალებში ცრემლი გამოკრთებოდა ხოლმე. ვფიქრობ, იმ მოდელთან ერთად ის თავის აუხდენელ ოცნებაზე ნაღვლობდა...

ჩვენი ბაბუა... ვინ იცის რამდენი მიფიქრია იმაზე, თუ ვინ და რა კაცი იყო ის, ბატონი ძიკა (პროკოპი) ფაჩულია... ვფიქრობ, დღემდე ვერ მიპოვია ყველა ის სიტყვა და ეპითეტი ბაბუას პორტრეტს რომ მოუხდებოდა... პატარა სიტყვებით კი ის იყო ბუმბერაზი პიროვნება, თავისი ვაჟკაცობით, სიტყვით, ქცევით და მორალით... მას უამრავი სიკეთე უკეთებია, ბევრი გზას აცდენილი გზაზე დაუყენებია, მშიერი დაუპურებია და მწყურვალისა და მიუსაფარისთვის უპატრონებია. ის იყო არაჩვეულებრივი მამა თავისი შვილებისთვის და ასევე ბევრი ობლად დარჩენილისთვის. ჩემი ბავშვობიდან დღემდე არავისგან არასოდეს არ მსმენია იმდენი სიბრძნე და შეგონება, რამდენიც მისგან.

ვფიქრობ, ბაბუა იყო ყველაზე დიდი პერფექციონისტი ჩვენი ოჯახიდან, ვინაიდან ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, უნდა ყოფილიყო მხოლოდ საუკეთესო და გამორჩეული... ყველაზე მეტად მას შიგაწვის ძრავა და მისი მუშაობის პრინციპები იტაცებდა და მან ეს სიყვარული მის ვაჟიშვილებსაც „გადასდო.“ მამა-შვილები- ხობის რაიონში მანქანების „დასტაქრებად“ იყვნენ მონათლულები. მათ შეეძლოთ ძრავის ხმის ტემბრით დაესვათ დიაგნოზი, თუ რა ხარვეზი ჰქონდა ნებისმიერი მარკის სამამულო თუ საზღვარგარეთული მარკის მანქანას. აღსანიშნავია, რომ ბაბუას წილად ხვდა პატივი, რაიონისთვის გამოყოფილი პირველი ტრაქტორი ჩამოეყვანა ხობში, ვინაიდან, იმ დროისთვის, მას, მხოლოდ ერთს, გააჩნდა ამისათვის სათანადო კვალიფიკაცია... ბაბუა იყო საოცარი მორალისტი... ერთი შეხედვით, რკინას, ტრაქტორს თუ სხვა მძიმე ტექნიკას შეჭიდებული, ფიზიკურად ბრგე ვაჟკაცი, თითქოს გოროზად შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ, მაგრამ მას გული საოცრად კეთილი და ჩვილი ჰქონდა...

სახლის უკან, სამზადისში, სადაც ტომრებით გველაგა ფქვილი, შაქარი და სხვა პროდუქტები, გული ბებიას თაგვები შეუნიშნავს. მას ხაფანგი დაუდგამს და როდესაც ერთერთი მათგანი დაუჭერია, ბაბუასთვის თავისი ნადავლი უჩვენებია. ბაბუას კატეგორიულობით მოუთხოვია ბებიასთვის თაგვი სახლიდან მოშორებით, დაუყონებლივ ხაფანგიდან გაეშვა... მისი ფილოსოფია ამ საკითხზე, „ისიც (თაგვი) ხომ არსებაა, და იბრძვის თავისი არსებობისთვის, ჰოდა, ვაცალოთ შე ქალოო“ ნათლად მიუთითებს ბაბუას ჰუმანისტურ დიდსულოვნებაზე.

ბაბუა ორი პროფესიის წარმომადგენლებს ესალმებოდა ხელის ჩამორთმევით, პურის მცხობელებს და პედაგოგებს, ვინაიდან მისი ფილოსოფიით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ სუფთა სინდისის მქონენი, თუ პირველები უსუფთაოდ მოზელდნენ ცომს, ასეთი პური სუფრას წაწყმედდა, არაკეთილშობილი პედაგოგები კი მათთვის მიბარებული მოსწავლეების უმწიკვლო სულებს დაამახინჯებდნენ...

ბაბუას უყვარდა, როცა ოჯახის ყველა წევრი სუფრას ერთად მიუსხდებოდა. მას, როგორც ოჯახის უფროსს, სუფრის თავზე მჯდომს, სრული უფლებამოსილება ჰქონდა ოჯახის სხვა წევრებისთვის ადგილი თვითონ მიეჩინა. საშობაოდ, ჩვენი დედულეთიდან, ფუცუ ბებია ჩამოგვაკითხავდა და მოგვიკითხავდა მადისაღმძვრელი კუპატებით, თავისივე გამოხდილი ლეღვის და კარალიოკის არყით, მჭადის ფქვილითა და ღერღილით. არ მახსოვს საუბრისას, ჩვენს წინაპრებს ერთმანეთისთვის „ქალბატონო“ და „ბატონოს“ გარეშე მიემართოთ.

ჩვენთან სტუმრად ფუცუ ბებია ორ დღეზე მეტს არასოდეს რჩებოდა. ის თავის სახლის კერას არ აცივებდა და სიცოცხლის ბოლომდე ელოდა ჩვენი, 24 წლის ომში დაკარგულ ალექსანდრე ბაბუას დაბრუნებას...

ფაჩულიების სახლი ალბათ უფრო ჰგავდა ბიბლიოთეკის სამკითხველოს, სადაც თითოეული დაკავებული იყო მხოლოდ კითხვით. მახსოვს, რაიონული ბიბლიოთეკის მენტორი, ყველასათვის სათაყვანებელი ქალბატონი, ლამარა ზაქარაია დამნაშავესავით იმართლებდა თავს ჩემი ოჯახის წინაშე, რომ ვერ მოახერხა შეერჩია მათთვის ახალი ლიტერატურა, ვინაიდან ბიბლიოთეკაში ფაჩულიებს, თითქმის აღარ დაგრჩათ წაუკითხავი წიგნებიო...

ჩვენი ოჯახის მამაკაცები უმთავრესად რუსულ კლასიკას ეწაფებოდნენ, ქალბატონები კი ილიას, ვაჟას და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას... აქ, ზამთრის გრძელი ცივი ღამეების განმავლობაში, ბუხართან თუ ღუმელთან ხშირად წაკითხულზე ხმამაღლა მსჯელობდნენ, იქნებოდა ეს გაზეთების „მებრძოლი გუშაგის,“ „სოფლის ცხოვრების,“ „კომუნისტის,“ „კომუნიზმის მშენებლის,“ „დროშის“ სტატიები, თუ კლასიკური ნაწარმოებები, ან არჩევდნენ რუსული თუ ქართული ზმნის უღლებას, „ აწუხებდათ“ ანა კარენინას ბედი, თუ საბჭოეთის მომავალი... შემდეგი „სვლა“ ამ ზამთრის ღამისთევებში, ტრადიციულად ხმამაღალი კითხვა იყო. მახსოვს, უმთავრესად ეს ხუტა ბიძას ან მის მეუღლეს მერის ეკისრებოდათ...ბიძაჩვენი, არაჩვეულებრივი ბარიტონით პუშკინის ან ლერმონტოვის უკვდავ ნაწარმოებებს გვიკითხავდა. ის იყო საოცარი დეკლამატორი და ვფიქრობ, ასევე კარგი პედაგოგიური ნიჭით შემკული, მისი ხმამაღალი კითხვის გაკვეთილები, დღესაც მკაფიოდ ჩამესმის ყურში... ჩვენი ლამაზი ბიცოლა, ქალბატონი მერი (ფისო) ვეკუა, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით, გასაოცრად მაღალი ინტელექტით, ჩინებული თხრობის და წერის მანერით, დაბალი მკერდისებრი ხმით, თავის რეპერტუარს ხან ემილ ზოლადან, ონორე დე ბალზაკიდან თუ ჯეკ ლონდონიდან გვიზიარებდა...

მახსოვს, ბიცოლას კითხვისას რამდენიმე წიგნი ედო მუხლებზე... მთავარი კამერტონი ანუ ცენზორი აქ დიდი ოჯახის უფროსი იყო... თუ ტექსტის კითხვისას, ბაბუა უთქმელად წარბებს მაღლა აზიდავდა და ორბის მზერით მაღლიდან დაგვხედავდა, ფისო ბიცოლასთვის ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას მყისვე „რეპერტუარი“ უნდა შეეცვალა... და მყისიერი ალღოთი შეერჩია ის, რაც იმჟამინდელ სიტუაციას შეეფერებოდა...

ბოლოს კი, თითქმის გარიჟრაჟზე, მამიდაჩემი ნელი, თავის ჩონგურს აახმიანებდა და მთელი ოჯახი ერთად რამდენიმე სევდიან, მეგრულ პოლიფონიურ სიმღერას ააგუგუნებდა...

მახსოვს, ჩვენ პატარებს, უკვე თვალები გვებლითებოდა ძილისაგან, მაგრამ, მთელი ბავშვური შეუპოვრობით ვებრძოდით ძილს და მოუთმენლად ველოდებოდით ჯადოსნური ღამის ფინალურ აპოგეას, სადაც ჩვენც გვქონდა უფლებამოსილება გვემღერა ოჯახთან ერთად...

რა ტკბილი, განუმეორებელი და თბილია ეს მოგონებები, ასე ცხადად და გუშინდელ დღესავით ნათლად რომ ჩამრჩენია მეხსიერებაში... ტკბილი, როგორც გული ბებიას მოდუღებული მურაბა (იმის შიშით, რომ რამე არ შეშლოდა, მურაბის მოდუღების ტექნოლოგიაში, ეს ცხონებული, ყველა სახის ხილის მურაბას, ორმაგი შაქრის დოზით ადუღებდა). ამიტომაც, გული ბებიას მურაბები უტკბილესი იყო მთელს დუნიაზე...

თბილი და ბანგის მომგვრელი მოგონებები, დაღვინებული, როგორც ბაბუას „კაჭიჭის“ წითელი ღვინო, რომელსაც იგი ჩვენი ეზოს ყურძნისგან აყენებდა და ყველას ალალად უზიარებდა, ვინც მის სუფრაზე ერთხელ მაინც პურს გატეხავდა და ჭიქას ასწევდა...

ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი კი ამ საღამოებიდან, რომელთა ფასიც მხოლოდ ჩემი ზრდასრული ცხოვრების მანძილზე გავიგე, იყო ის არაჩვეულებრივი ოჯახური იდილია, რომელიც ოჯახში არსებულ თუ წამოჭრილ ყველანაირ პრობლემებს, უთანხმოებებს, გულისწყრომას და სხვა ჭირ-ვარამს სრულიად აბათილებდა...

სწორედ ამ საღამოების დროს იგრძნობოდა დიდი ოჯახის ტრადიციების ძალა, რომელიც მხოლოდ ერთობაშია და რომელსაც ჩვენი ოჯახის წევრები ასე თვალსაჩინოდ ავლენდნენ ზამთრის ამ გრძელი საღამოების მანძილზე... შემდეგ კი მოვიდა ცხოვრების დიდი გრიგალი და დროის ქარიშხალმა ჩვენი ოჯახის კეთილი ტრადიციები სრულიად დააქუცმაცა და დაფანტა. ულმობელმა სიკვდილმა კი ერთიმეორეს მიყოლებით გამოგვტაცა ხელიდან ჯერ ბიძაჩემი ხუტა, შემდეგ ჩვენი ბაბუა და მამა, ფისო ბიცოლა, ფუცუ და გული ბებიები, ვალიკო ძია, და ბოლოს, ჩვენი დედიკო... ის მხოლოდ 21 დღე ებრძოდა უცნაური სნეულების ულმობელ ცეცხლს, რომელმაც იგი შინაგანად მთელი სისასტიკით დაფერფლა.

ვფიქრობ, ახლა ეს დიდი ოჯახი კვლავ ერთად შეიყარა, ოღონდ იქ, საიქიოში... ვიმედოვნებ, ისინი დიდსულოვნად პატიობენ ერთმანეთს სიცოცხლეში დაშვებულ ყველა შეცდომას და მათი სულები კი მარადიულობის ნათელში განისვენებენ...

***მარინა (ფისო) ფაჩულია-კაკუაშვილი.***

***ხობი-მოსკოვი-ვაშინგტონი აპრილი 2016 წელი.***

## სახალისო წასაკითხი

ფეხბურთი მილიონობით ადამიანს ანიჭებს დიდ სიხარულს და ესთეტიკურ სიამოვნებას. ალბათ ბევრს მოუსმენია ან წაუკითხავს მწვრთნელთა, მოქმედ თუ ყოფილ ფეხბურთელთა, გულშემატკივართა, პოლიტიკოსთა, მსახიობთა და ა. შ. შეფასება, ანალიზი, ფეხბურთის, როგორც მსოფლმხედველობისა. მაგრამ, ფეხბურთის არსში, მისდამი მასობრივი სიყვარულის საიდუმლოში ალბათ ყველაზე ღრმად მწერლებმა ჩაიხედეს. ამიტომ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავეცნოთ ქართველი და უცხოელი მწერლების, მსოფლიო ლიის ძირითადი ნიშანი აქვს, რაც, ჩვენი გაგებით, სრულყოფილ ენას უნდა ახასიათებდეს, მეტყველების ენა იქნება თუ წერის. ფეხბურთის ენის „სიტყვები“ ზუსტად ისევე იბადება და ყალიბდება, როგორც სასაუბრო ან წერილობითი ენის სიტყვები. როგორ იქმნება სიტყვა ენაში, სიტყვა ეგრეთწოდებული ორმაგი არტიკულაციის“, ანუ ფონემათა უსასრულო კომბინაციების შედეგია. იტალიურში ამ ფონემებს 21 ასო-ნიშანი წარმოადგენს. ანუ ფონემა მეტყველებისა თუ წერის ენის „მინიმალური ერთეულია“. მოდით, ვიხალისოთ და ფეხბურისე იქცევა, როგორც დანაკარგით განადგურებული ჭირისუფალი. ცხადია, წაგება ყოველთვის სამწუხაროა და იმ სამყაროშიც გულსატკენი იყო, რომელიც ქუჩის ფეხბურთის სახით ჩვენს ბავშვობაში დარჩა ... ჩვენ ვუმღერთ სამყაროს, რომელიც თავისუფალია გამარჯვებამოწყურებული სასტიკი გულშემატკივრის, ყოვლისშემძლე მწვრთნელის, უსამართლო მსაჯისა და ყოველგვარი მატერიალური სარგებლისგან!“

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი პოლ ოსტერი საინტერესო

# ფეხბურთი და მწერლები

ტერატურის კლასიკოსების შეხედულებებს, მოსაზრებებს, გამონათქვამებს ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე.

ფეხბურთზე წერდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები: ალბერ კამიუ, ჟან პოლ სარტრი, ელიოტი, ჯაკომო ლეოპარდი, უმბერტო საბა, იტალო კალვინო, ეუჯენიო მონტალე, ჯონ მაქსველ კუტზეე, პოლ ოსტერი, პაზოლინი, კაპუშცინსკი, ჯულიან ბარნსი, ნოდარ დუმბაძე, გურამ ფანჯიკიძე, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, დათო ქარდავა და სხვები.

„ფეხბურთი ცხოვრების მეტაფორაა“ ამბობს სარტრი, ელიოტმა ფეხბურთს „თანამედროვე კულტურის არსებითი ელემენტი“ უწოდა, „თუკი რამ ზნეობა გამაჩნია, საფეხბურთო მოედანზე და თეატრის სცენაზე ვისწავლე. ორივე მათგანი ჩემთვის ცხოვრების ნამდვილ უნივერსიტეტად დარჩა“ გვმოძღვრავს, ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერ კამიუ.

კამიუ ალჟირის საუნივერსიტეტო გუნდში მეკარე იყო, მაგრამ საფეხბურთო კარიერის გაგრძელება ფეხის ტრავმის გამო ვეღარ შეძლო. ერთ-ერთ მატჩში, რომელსაც კამიუც ესწრებოდა, მეკარემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა–მაგრამ კამიუსთვის კარგად იყო ნაცნობი მეკარის „უბედურება“, ამიტომ მეკარე თანაგრძნობით დაიცვა: „არ უნდა უსაყვედუროთ. როცა ორ ძელს შორის აღმოჩნდები, მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ ყველაფერი ძალიან რთულია“.

დიდი იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი და რეჟისორი პიერ პაოლო პაზოლინი ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იყო. პაზოლინი ფეხბურთს აღიქვამდა, როგორც ენის ნიშანთა სისტემას, სადაც ყველაფერი გრამატიკის ნორმებით განისაზღვრება - „... ფეხბურთი ნიშანთა სისტემაა, იგივე ენაა. მას ყველა თის ენის მინიმალური ერთეული განვმარტოთ, რატომაც არა? „ბურთზე დასარტყმელად მოქნეული ფეხი“- აი ფეხბურთის ენის მინიმალური ერთეული. გნებავთ, „ფეხემა“ ვუწოდოთ? (ვინ გვიშლის გართობას) ამ „ფეხემების“ უსასრულო შესაძლო კომბინაციები ფეხბურთის ენის „სიტყვებს“ ქმნიან, ამ სიტყვათა ერთობლიობა კი აყალიბებს დისკურსს, რომელიც ჩვეულებრივი, სინტაქსური წესებით იმართება. „ფეხემა“ ოცდაორია. ფეხბურთის „სიტყვების“ რაოდენობა კი პოტენციურად უსასრულოა, რადგან უსასრულოა შესაძლო კომბინაციათა რაოდენობა (გადაცემები, ჩაწოდებები). სინტაქსი კი მატჩში-ნამდვილ, ჭეშმარიტ დრამატულ დისკურსში-გამოიხატება. ამ ენის „მშიფრავები“ მოთამაშეები არიან, ჩვენ კი, ტრიბუნებზე, „გამშიფვრელები“ ვართ. მაშასადამე, რაღაც საერთო კოდი გაგვაჩნია. ის ვინც ფეხბურთის კოდი არ იცის, ვერც მისი სიტყვების „მნიშვნელობას“ (გადაცემას) გაიგებს და ვერც დისკურსის (გადაცემათა ერთობლიობას) შინაარს.

მწერალ დათო ქარდავასთვის ფეხბურთი სიკვდილ-სიცოცხლის, გამარჯვების სიმბოლოა - „წიგნებში ამოგვიკითხავს, რომ თამაში (თავისი მოგება-წაგებით), სიმბოლურად, სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია. კაცობრიობას ჰქონდა ეპოქა, რომელშიც სპორტი საკრალიზებული იყო და რელიგიური კულტის ნაწილად მიიჩნეოდა. ათასობით წელი დასჭირდა სპორტის გათავისუფლება-განჯადოებას. თანამედროვე სამყაროში სპორტულ შეჯიბრში დამარცხება გაიგივებულია რიტუალური მსხვერპლშეწირვის მხოლოდ სიმბოლურ ჩანაცვლებასთან. ამიტომაც არის, რომ დამარცხებული გუნდის ქომაგი დაკვირვებას გვთავაზობს თამაშის ერთფეროვნებასთან დაკავშირებით - „ჰო, თამაშს ბოლო წუთამდე ნარატიული ასპექტის გამო ვუყურებთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სპორტზე მაინც ისე ვფიქრობ, როგორც პერფორმანსის ხელოვნებაზე. რამდენი თამაში და მატჩია ისეთი, „დეჟა ვუს“ განცდა რომ გეუფლება, მაგრამ განა ასეთივე რამ არ ხდება, როცა კონცერტზე მიდიხარ ბეთჰოვენის სონატის მოსასმენად? დიდი ხანია, ეს ნაწარმოები ზედმიწევნით კარგად იცი, მაგრამ სწორედ ამ პიანისტის შესრულებით გინდა მისი მოსმენა. არსებობენ მოსაწყენი პიანისტები და სპორტსმენები, მაგრამ მერე ვიღაც ისეთი მოდის, ვის გამოც სუნთქვა გეკვრის“.

ცნობილი ქართველი მწერალი, აკა მორჩილაძე წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „სარბიელში“ მესვეტედ. მწერალი, ფრანკლინ ფოერის წიგნის „როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო“ ქართული თარგმანისათვის დართულ წინასიტყვაობაში, არაერთ მახვილგონივრულ დაკვირვებას გვთავაზობს ფეხბურთის უნივერსალურ ხასიათსა და მის დემოკრატიულ ბუნებაზე - „ნეტავ როგორი იყო ადამიანის ფეხი ფეხბურთამდე! ვინმე წარმოიდგენდა, რომ ფეხს ამდენი რამ შეეძლო? სიარულისთვის გაჩენილი კიდური იმგვარ ნიჭთა და საოცრებათა შემცველი აღმოჩნდა, რომ სამყაროს ერთ-ერთი საყრდენის შექმნაში დაიდო წვლილი“. „ასეთი დემოკრატია არსადაა და ამ დემოკრატიის არსი კი სწორედ ისაა, რომ მინდორზე ბურთი ყველასია, ის თითქოს ყოველთვის ნეიტრალურია, რადგან მიწაზე დევს და კაცის მოხერხებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოუვლის მას ფეხით“.

***ლევან ღვინჯილია.***

**სტატიის მომზადებისას გამოყენებულია ჟურნალ „არილის“ და ფ. ფოერის წიგნის მასალები**

## მილოცვა

## გვიყვარხართ, გვეიმედებით!

### საყვარელ მასწავლებელს, ბელა ლაგვილავას



ჩვენო საყვარელო მასწავლებელო, ბელა! გილოცავთ დაბადების დღეს, იყავით ჯანმრთელი, ბედნიერი, სიხარულითა და სილაღით აღსავსე, ენერგიული და ბავშვების სიყვარულით გარემოცული, ისე, როგორც ყოველთვის. დაე, არასოდეს მოგკლებოდეთ ღვთის მადლი და ძალა, რომ ემსახუროთ ნორჩ თაობას, მუდამ იყოთ მათ გვერდით და მათი ცხოვრებით იცხოვროთ. ყოველი დღე ბავშვების საზრუნავითა და წარმატებებით, სიხარულითა და დადებითი აურით იყოთ გაბადრული, რადგან თქვენ, თითოეული ბავშვისა თუ მშობლისთვის ყოველთვის დადებით აურას ქმნით.

გვახარებს, რომ ჩვენი ბავშვები უკვე დიდები გახდნენ, მომავალ წელს ისინი მეხუთე კლასელები იქნებიან, მაგრამ გული გვწყდება ყველას, იმაზე, რომ თქვენ უკვე ჩვენი მასწავლებელი რომ არ იქნებით, მაგრამ უდაოდ, თქვენი ყოველი შეხვედრა თითოეულ ჩვენთაგანისთვის უდიდესი სიამოვნება და სიხარული იქნება.

გვჯერა, რომ ყველა პედაგოგი თქვენსავით მზრუნველი და საუკეთესო მეგობარი იქნება, როგორც ბავშვებისთვის, ასევე თითოეული მშობლისთვის.

იყავით მუდამ კარგად და ლამაზად თქვენს ლამაზ ოჯახთან და თქვენს მოსწავლეებთან ერთად!

*პირველი მაისის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები და მშობლები.*

## ჯაბა თოლორდავას!



გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელ, ბედნიერ მომავალს, ულევ სიხარულს და ლამაზი დღეების სიუხვეს.

გვიყვარხარ, გვეიმედები!

*მეგობრები.*

## ანა-მარია ჭითაშვილს

ანა მარი, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ლამაზ, ლაღ და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს, ღვთის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს, წარმატებები ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზამკვლევი.

ირაკლი ჯობავა



დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.